# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 22 მაისი, 2012 წელი.

№95 (6971)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ბიძინა ივანიშვილი:

## „ჩვენთვის 45 პროცენტიც არ იქნება საკმარისი, ვფიქრობ, 2/3-ით გავიმარჯვებთ“ ③



## ხანდახან შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველოში ჰგონიათ, ობამა და კონგრესი ყოველდღე საქართველოზე ფიქრობენ ⑤

საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობების წარსულზე, დღევანდელობასა და მომავალზე „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტსა და კავკასიის პროექტის ხელმძღვანელს ლოურენს შითს



## ობიექტური რეალობა თუ გამკაცრებული ტონი?! ⑥



## საქართველო მიშას გარეშე ⑧



ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე თურქებმა მღვდელი არ შეუშვეს ⑦

## თურქული საროსკიპო გონიოს ციხესთან

## გულის-ტკივილი და აღშფოთება ⑦

ღია წერილი სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი-სი-აი“-ს გენერალურ დირექტორს ბ-ნ ნიკოლოზ გამყრელიძეს

## ბრიფინგი

# „კატეგორიულად მოვითხოვთ დავითგარეჯასთან დაკავშირებული ყველა შეთანხმების საჯაროობას“

**ორშაბათის** ტრადიციულ ბრიფინგზე „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ კოალიცია შეშფოთებულია დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ შექმნილი ვითარებით და ხელისუფლების წარმომადგენლების უპასუხისმგებლო განცხადებებით, რაც ძაბავს მეზობელ და სტრატეგიულ პარტნიორთან — აზერბაიჯანთან ურთიერთობას.

„არც ქართველი და არც აზერბაიჯანელი მეცნიერების მხრიდან არასოდეს საეჭვო არ ყოფილა ის, რომ დავითგარეჯა ქართული კულტურის ძეგლია. 20 წელზე მეტია ქართული და აზერბაიჯანული მხარეები ცდილობენ საზღვრების დემარკაცია-დემილიტაციას. ჩვენთვის ხელისუფლების უსუსურობისა და ქართული საზოგა-



მეზობელი აზერბაიჯანის ხელისუფლება პატივს სცემს ქართული საზოგადოების ეროვნულ-რელიგიურ გრძნობებს, და საკითხის საბოლოოდ, საერთაშორისო სამართლის პრინციპების გარკვევამდე გაითვალისწინებს დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსთან არსებულ სიტუაციას. ქართველ სასულიერო პირებს, მომლოცველებსა და ტურისტებს საშუალება მიეცემათ, მოინახულონ ქართული კულტურის ეს უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლი“, — დაასკვნა ფანჯიკიძემ.

შეკითხვაზე, ალიევთან შეთანხმება დავითგარეჯას საკითხზე ხომ არ იყო წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მორიგი ტრიუკი, მაია ფანჯიკიძემ დასძინა, რომ თუკი ორი სახელმწიფო პირის შეხვედრის შესახებ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, ეს საერთაშორისო სკანდალის თემაა, მაგრამ იგი იმედოვნებს, რომ ორი პრეზიდენტის შეხვედრის შესახებ განცხადება სიმართლეა — სასულიერო პირების, საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების ზეწოლამ აიძულა ხელისუფლება, სწრაფად შეეცვალა პოზიცია. ამიტომ აღდგა 6 მაისამდე არსებული სტატუს-კვო. „იმედს ვიტოვებ, ოფიციალურად გამოცხადებული შედეგი შეხვედრისა სწორია“, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მან 20 მაისს ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის შემთხვევაზეც გაამახვილა ყურადღება. სარკინიგზო გადასასვლელთან ოთხი დაუდგენელი პირი თავს დაესხა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ხობის რაიონული შტაბის ხელმძღვანელს მამუკა ქარდავას.

„თავდამსხმელები ავტომანქანაში ჩაუსხდნენ, როდესაც სარკინიგზო გადასასვლელთან ავტომობილი წინ მდგომი ავტომანქანის გამო გაჩერდა. მანქანაში ჩხუბის დროს ავტომობილი შეეჯახა მგზავრთა მოსაცდელს. მამუკა ქარდავა თავდამსხმელებმა ხელკეტებით უმოწყალოდ სცემეს, რის გამოც იგი ხობის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს.

იმის მიუხედავად, რომ პოლიციისთვის ცნობილია მომხდარის შესახებ, ამ დრომდე არ დაუკითხავთ იგი, როგორც დაზარალებული.

„ხობში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ხელისუფლების დაკარგვით შეშინებული, ხელისუფლებაში მყოფი მაფიოზური კლანის რეალური სახე. მათ ისღა შეუძლიათ, რომ ბნელ ღამეში ქურდულად მიეპარონ ოთხნი, ხელკეტებით სცემონ. ასეთი ქმედებით მათი არსებობის დასასრული კიდევ უფრო სწრაფად ახლოვდება. ღამღამობით თარეშსაც მალე მოეღება ბოლო და ყველა კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს დანაშაულზე“, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

მან მიმართა უწყებათაშორის კომისიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება ამ დანაშაულზე და სამართალდამცავ ორგანოებს მოსთხოვოს ყველა საჭირო ქმედების განხორციელება დამნაშავეების გამოსავლენად.

„მამუკა ქარდავა ამ ფაქტის გამო არც შეშინებულია და არც დაშინებული. იგი ამბობს, რომ ორ დღეში ფეხზე დადგება და განაგრძობს საქმიანობას. ასევე გააძლიერებს თავის საქმიანობას ყველა, ვინც მოექცა ხელისუფლების ტერორის ქვეშ“.

პრესსპიკერმა დაგმო ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის დაკავება და მასზე ფიზიკური ზეწოლა — პოლიციის თანამშრომლების მიერ ჟურნალისტის დაკავების და მასზე ძალადობის ფაქტი მედიის საქმიანობისთვის ხელისშეშლის აშკარა გამოხატულებაა, რაც მიუღებელია დემოკრატიული საქართველოსთვისო.

„კოალიცია „ქართული ოცნება“ სამართალდამცავეებს მოუწოდებს, დაიწყონ მომხდარზე გამოძიება და ობიექტურად შეისწავლონ ეს საქმე. ასევე სათანადოდ აგოს პასუხი ყველა პირმა, ვინც უფლებამოსილებას გადაამეტებს.

კოალიცია ასევე მოუწოდებს საქართველოს სახალხო დამცველს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო საზოგადოებას, მოახდინონ რეაგირება და ინციდენტი სათანადოდ შეაფასონ“, — დასძინა ფანჯიკიძემ.

შეკითხვაზე, როგორ აპირებს „ქართული ოცნება“ 27 მაისს დაგეგმილ აქციაზე მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან აცილებას, პრესსპიკერმა უპასუხა, რომ პროვოკაცია არ არის გამორიცხული სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პოლიციელებისგან, მაგრამ „საჯაროობა არის ჩვენი დაცულობის მექანიზმი“. დიდია მედიის ინტერესი, აქციაზე იქნებიან ჟურნალისტები, ხალხმა იცის, რომ ხელისუფლება ყველაფრის მკადრებელია. და — ხალხს მაღალი შეგნება აქვს, თვითონ არ წამოეგოს პროვოკაციას...

„27 მაისს საქართველო ერთ მუშტად შეიკვრება და არსებულ რეჟიმს პოლიტიკურ ბრძოლას გამოუცხადებს“, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

დოების სამართლიანი აღშფოთების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2007 წლის შემდეგ ეს პროცესი ნაბიჯითაც კი წინ არ წაწეულა“, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, როცა დავითგარეჯას მიმდებარე საზღვრებზე შეთანხმება არ მომხდარა და არსებობს რუკები, რომლებზეც სპეციალისტებმა უნდა იმუშაონ, კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“ მიუღებელია ის უპასუხისმგებლო განცხადებები, რაც გასული კვირის განმავლობაში გააკეთეს კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ: **„14 მაისს კალანდაძემ განაცხადა, რომ დავითგარეჯას უდაბნოში მონასტრის ტერიტორიის ნაწილი სადავო არ არის და ის აზერბაიჯანის კუთვნილებაა. კულტურის მინისტრი ნიკა რურუა კი ამტკიცებს, რომ დავითგარეჯას კომპლექსში შემავალი უდაბნოს მონასტერი, სამწუხაროდ, აზერბაიჯანს ეკუთვნის 1994 წლის შეთანხმებით. კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, გამოაქვეყნოს 1994 წლის შეთახმება, რომელშიც აღნიშნულია ზემოხსენებული ფაქტი“,** — განაცხადა პრესსპიკერმა.

მან ბრიფინგზე გააჰმოვანა კოალიცია „ქართული ოცნების“ პოზიცია: **„კოალიცია კატეგორიულად მოითხოვს დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმების საჯაროობას. იმედს გამოვთქვამთ, რომ**



**თამარ შაიშმელაშვილი**

## განცხადება

# წინდაწინვე სამშობლოს ღალატის კვალიფიკაცია?!

## „ქართული აკადემიის“ აუცილებელი განმარტება

„ქართულმა აკადემიამ“ 17 მაისს გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

**„საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, საზოგადოებას დაუყოვნებლივ აცნობოს, რა გზით და რა ცივილიზებული ფორმებით აპირებს (დავითგარეჯასთან დაკავშირებული) იმ პრობლემის მოგვარებას, რომელიც ესკალაციის სახიფათო ნიშნებს უკვე შეიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტ დამაჯერებლობას შეიძენს გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება მზადაა, სამშობლოს ღალატის ტოლფასი დანაშაული ჩაიდინოს და საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის საარჩევნო ხმების საფასურად საქართველოს ფასდაუდებელი სულიერი და კულტურული საგანძური გაასხვისოს“.**

ჩვენს ამ განცხადებას გამოეხმაურა პოლიტოლოგი ბანიამინ კასიმოვი:

**„გამოდის, რომ საქართველოს აზერბაიჯანელებს საქართველოს მიწების გასხვისება გაუხარდებათ, რაც პირდაპირ სამშობლოს ღალატში დადანაშაულებაა. ჩვენ, საქართველოს აზერბაიჯანელები, ვითხოვთ, „ქართულმა აკადემიამ“ სამშობლოს ღალატში დადანაშაულებისთვის ბოდიში მოგვიხადოს... დავით გარეჯი, ოშკი, სვეტიცხოველი და სხვა ქართული კულტურული ფასეულობები იმდენადვე წმინდაა ჩემთვის, როგორც ყველა ქართველისთვის. ჩვენც ამ ქვეყნის კულტურის ნაწილი ვართ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ეკუთვნის ყველას, ვინც საქართველოში ცხოვრობს. ჩვენ არ ვყიდით ხმებს, მით უმეტეს, სამშობლოს მიწაზე. ჩვენ ყველა იმ ხელისუფლებას დემოკრატიულ პასუხს გავცემთ, ვინც ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს იღებს... ის მოსაზრება, რომ თითქოს აზერბაიჯანელები მხოლოდ სახელისუფლებო პარტიას აძლევენ ხმას, მცდარია, უბრალოდ, რეგიონში მასობრივი გაყალბება ხდება“ (სააგენტო „პირველი“, 18.V.2012).**

**ჯერ ერთი, ვეყრდნობოდით რა საზოგადოებაში გავრცელებულ ხმებს, ჩვენ ვაცხადებდით საქართველოს ხელისუფლების სავარაუდო მზაობას, საარჩევნო ხმების საფასურად გაასხვისოს დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსის შეუთანხმებელი მონაკვეთი და არაფერი გვითქვამს არც აზერბაიჯანის ხელისუფლების მოსალოდნელ საპასუხო ნაბიჯზე და არც იმაზე, რა რეაქცია ექნებოდა ამაზე საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობას.**

**ამასთან, სად ამოიკითხა ბ-ნმა კასიმოვმა, რომ, „ქართული აკადემიის“ აზრით, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გასხვისება საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის სიხარულს გამოიწვევს?! ან კიდევ: როგორ მოახერხა ბ-ნმა კასიმოვმა, ჯერ არმომხდარი ფაქტით გახარებისათვის (რაც არც გვითქვამს და ვერც წარმოგვიდგენია) წინდაწინვე სამშობლოს ღალატის კვალიფიცირება მიეცა?!**

**ასე რომ, საბოდიშო აქ არაფერია და ჩვენს ოპონენტს (რომლის გულწრფელობაშიც, სხვათა შორის, ეჭვი არ შეგვაქვს) მეგობრულად ვურჩევთ, თავისი ძალისხმევა (სიტყვაც და საქმეც) იქითკენ მიმართოს, რომ, მისივე სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „რეგიონში მასობრივი გაყალბება“ არ ხდებოდეს და წარმატებასაც ვუსურვებთ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში.**

**რაც შეეხება საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობას — ჩვენს თანამოქალაქეებს, ვადასტურებთ ჩვენს პატივისცემას მათ მიმართ და პატივისცემითვე მოვეკიდებით ნებისმიერ არჩევნებში მათ მიერ გამოხატულ თავისუფალ (ვიმეორებთ — თავისუფალ!) პოლიტიკურ ნებასა და არჩევანს.**

„ქართული აკადემია“
21.V.2012.

# დავითგარეჯას ტერიტორიაზე შეზღუდვები მოიხსნა

**დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსის სადავო ტერიტორიაზე ქართველი მომლოცველებისა და ტურისტებისთვის 6 მაისიდან დაწესებული შეზღუდვა მოხსნილია.**

**როგორც მამა დავით შარაშენიძემ განაცხადა, მრევლი სასულიერო პირებთან ერთად უდაბნოს მონასტრის ტერიტორიაზე თავისუფლად შევიდა.**

**— ახლა უდაბნოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აღდგომის სახელობის ტაძარში ვიმყოფებით. ამოვედით ისე, რომ ხელი არავის შეუშლია, თუმცა რამდენ ხანს გაგრძელდება ეს თავისუფლება, ჯერ არ ვიცით, — აღნიშნა მამა დავით შარაშენიძემ.**

**გუშინ დავითგარეჯას ლავრიდან მსვლელობა მოეწყო, რომელშიც მონაწილეობდა 2 000-ზე მეტი მომლოცველი, 100-ზე მეტი სასულიერო პირი და ბერ-მონაზონი.**

## ინფორმაცია

# მოსკოვში გენერალი რომან დუმბაძე მოკლეს

**მოსკოვში** საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი გენერალი, ბათუმის 25-ე ბრიგადის ექსმეთაური რომან დუმბაძე მოკლეს.

რუსული მედიის ცნობით, დუმბაძე საკუთარ სახლთან ახლოს, რუბლოვსკაიას გზატკეცილზე, მოტოციკლიდან დაცხრილეს. დამნაშავეები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, დაჭრილი კი ადგილზევე გარდაიცვალა.

მოტოციკლი, რომლითაც თავდამსხმელი გაიქცა, ერთ-ერთ ეზოში მიტოვებული იპოვეს, თუმცა მკვლელობას თვითმხილველი ჰყავს, რომელსაც ამ დროისთვის სამართალდამცავები კითხავენ.



რომან დუმბაძე სამშობლოს ღალატის ბრალდებით 2004 წელს დააკავეს და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2008 წელს კი, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, დუმბაძე ფოთის პორტში დატყვევებულ 12 ქართველ სამხედროზე გაიცვალა, რის შემდეგაც მან რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

აქტუალური ინტერვიუ

# ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენთვის 45 პროცენტიც არ იქნება საკმარისი, ვფიქრობ, 2/3-ით გავიმარჯვებთ“



„ჩვენთვის 45 პროცენტიც არ იქნება საკმარისი, ვფიქრობ, რომ 2/3-ით გავიმარჯვებთ“ – აცხადებს ბიძინა ივანიშვილი ამერიკის ხმისთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში, რომელიც 19 მაისს „ბიზნეს-ცენტრში“, სოლოლაკში განთავსებულ ბიძინა ივანიშვილის ოფისში შედგა.

– როგორ შეაფასებდით საკუთარ შანსებს საარჩევნოდ?

**– ბიძინა ივანიშვილი: როგორც პოლიტიკაში მოსვლის პირველივე დღეს განვაცხადე, ძალიან დიდი ალბათობით ხმების 2/3-ს მოვიპოვებთ. დღესაც ვრწმუნდები, რომ სწორად მქონდა ნაფიქრი, დაგეგმილი და გააზრებული. ეს არის საფუძველი იმისა, რომ აუცილებლად გავიმარჯვებთ. ის რაც მოხდა საფრანგეთში, სადაც ხელისუფლებამ პროცენტნახევრით წააგო და წავიდა, ასეთი რამ საქართველოსთვის წარმოუდგენელია. ჩვენი ხელისუფლება ხმების ასეთი მცირე სხვაობის შემთხვევაში არ წავა, ამიტომ ჩვენ დიდი უპირატესობით უნდა გავიმარჯვოთ და შევქმნათ ხელისუფლების მშვიდობიანი წასვლის პრეცედენტი პირველად ისტორიაში.**

„ამერიკის ხმა“: რა გაძლევთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს?

**– ბიძინა ივანიშვილი: საქართველოს მოსახლეობა და მათი განწყობის ცოდნა. მეგონა, თბილისშია საქმე მარტო კარგად და რეგიონებში ცუდად, თუმცა ვცდებოდი. რეგიონებშიც ძალიან კარგად გვაქვს საქმე და ამაში არაა იმდენად ჩვენი დამსახურება, რამდენადაც სააკაშვილის და მისი გუნდის, რადგან მათ თავი შეაზიზღეს ხალხს თავისი ქცევით. მოსახლეობაში, ჩვენი ოპონენტების ერთადერთი იარაღი არის დაშინება. თუმცა ისინი არ იცნობენ ქართველებს, მათ ისტორიას და თავისუფლებისკენ ლტოლვის სურვილს. მათი მხარდამჭერი დღეს არის მხოლოდ ის, ვინც ჯერ კიდევ ვერ ბედავს მათ წინააღმდეგ გამოსვლას შიშის ფაქტორის გამო. შიშის დაძლევა იოლი არ არის, თუმცა ჩვენ ვმუშაობთ ამაზე. გავანაწილეთ შტატები რეგიონებში და ჩემდა გასაოცრად, იქ სიტუაცია ვითარდება გაცილებით სწრაფად და იოლად, ვიდრე მე მეგონა. ჩვენ ვიბრძვით, რომ ხალხი გავათავისუფლოთ ხელისუფლების ძალადობისგან. მათ გონიათ, მათ აქვთ დიდი ძალა, ჩვენ კი გვგონია, რომ ჩვენი ძალა უფრო დიდია, რადგან ჩვენ იმას ვაკეთებთ, რაც ხალხს სურს. მე ვფიქრობდი, უფრო გაუჭირდებოდა ხალხს შიშის დაძლევა, თუმცა ასე არაა. ამის კარგი მაგალითი სამეგრელოა, ყველაზე რთული რეგიონი, სადაც უდიდესი ზეწოლაა ხალხზე. ხელისუფლებას ჩვენი საყვარელი მეგრელები ყველაზე ცუდ დღეში ყავს, მაგრამ ალასანია როდესაც ჩავიდა იქ, ხალხი ბევრიც მოვიდა და საოცარი ერთსულოვნებაც აჩვენა.**

„ამერიკის ხმა“: რას შეცვლით უმრავლესობაში მოსვლის შემთხვევაში, სტრუქტურული თვალსაზრისით? რას დაუკავშირდება თქვენი პირველი რეფორმა?

**– ბიძინა ივანიშვილი: მე უკვე კარგად ვერკვევი, რა ხდება საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში, კარგად შევისწავლე ჩემი გუნდი და ზუსტად ვიცი, ვინ სად მოხვდება, როდესაც ხელისუფლებაში მოვალთ, მხოლოდ ამას ჯერ არ ვახმაურებ. ამის შემდეგ, მყისიერად უნდა აღდგეს სამართლიანობის განცდა ქვეყანაში. სასამართლოს მიეცეს თავისი ფუნქცია, გათავისუფლდეს მედია ზეწოლისგან, გათავისუფლდეს ბიზნესი. ელიტური კორუფციაც მოისპოს, საერთოდ, ყველაზე იოლი ელიტური კორუფციის დამარცხებაა. პირობას ვაძლევ მოსახლეობას, ჩვენი მოსვლიდან ორი თვის შემდეგ ეს აღარ იქნება. შემდეგ კი რაღაც პროცესებს დრო დასჭირდება. უნდა დავარწმუნოთ საზოგადოება დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში. ამას პირველები შეამჩნევენ ჩვენი ემიგრანტები, რომლებიც უცხოელებთან ერთად იფიქრებენ ინვესტიციების ჩადებაზე საქართველოში. მე კარგად ვიცი, რომ ჩვენი უმთავრესი პრობლემა უმუშევრობაა. კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნით, შევძლებთ მის დაძლევას.**

„ამერიკის ხმა“: რას ფიქრობთ საბიუჯეტო პრიორიტეტებზე? რას შეცვლით თქვენ ბიუჯეტის დაგეგმვისას?

**– ბიძინა ივანიშვილი: ჩვენი პრიორიტეტი იქნება სოფლის მეურნეობა. მე პროქეტი უკვე მზად მაქვს დიდი ხანია და სააკაშვილსაც ვთავაზობდი მის განხორციელებას, ფულსაც ვთავაზობდი, რაზეც მაშინ უარი მითხრა. მე გაოცებული ვიყავი ამის გამო, თუმცა ახლა კარგად ვხედავ რის გამოც. მას უნდა გაღატაკებული და გაკოტრებული ხალხი, მარტივად მართოს, ჩაუტანოს ერთი ტომარა ფქვილი და აძახებინოს „სააკაშვილს გაუმარჯოს“, მეორე უმთავრესი საკითხია ჯანდაცვის უზრუნველყოფა. საერთოდ, ბევრი რამ ხელახლა გასაკეთებელია. მე ვიტყოდი, ამათი კეთების შემდეგ, გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია.**

„ამერიკის ხმა“: დღესდღეობით ქვეყნის თავდაცვას ბიუჯეტის სოლიდური ნაწილი მიაქვს. თქვენს შემთხვევაში როგორ გადანაწილდება თანხები?

**– ბიძინა ივანიშვილი: კონკრეტულ შეფარდებებს ბიუჯეტში ახლა ვერ დავასახელებ, მაგრამ რაც სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ გააკეთა ამ კუთხით, უამრავი უმეცრება შეიძლება დავინახოთ. დაწყებული ტანკების შესყიდვიდან, შემდეგ იმ ავანტურაში ჩართვით, როგორც დაიწყეს ომი. რაც დაფინანსება იყო, ქარს და წყალს გაატანეს. საერთოდ, თავდაცვას მიხედვა უნდა. როგორი დონის და რამხელა თავდაცვის სისტემა უნდა ჰქონდეს ქვეყანას, ამას მარტო მე ვერ გადავწყვეტ, გადავწყვეტთ გუნდურად და შევუთანხმებთ საქართველოს მოსახლეობას. რაც მთავარია, დავგეგმავთ სწორად. ისიც არ შეიძლება, რაც იყო 2003 წელს, როდესაც ეს ხელისუფლება მოვიდა. მე დავიწყე დახმარება, გარნიზონების მშენებლობა, იმ დროს ჯარისკაცები დახეული ბოტასებით და ჯინსებით დადიოდნენ. მე ამაზე თავის დროზე ვიზრუნე. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს შესატყვისი ჯარი უნდა ჰყავდეს, მაგრამ მე მგონია, ამათ ეს არ აქვთ გათვლილი და გააზრებული, ერთი ადამიანი, სააკაშვილი წყვეტს ყველაფერს. მას მოუნდა ოდესღაც, რომ კოსმიური შეიარაღება ჰქონოდა ჯარს, რისი რეალური შესაძლებლობა და საფუძველიც არ არსებობდა, შემდეგ მოულოდნელად ბიუჯეტის დიდი ნაწილი ჩამოაჭრა და სხვაგან გადაიტანა. ჩვენ გეგმიურად, ჩვენი შესაძლებლობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ოპტიმალურ ვარიანტს შევქმნით.**

„ამერიკის ხმა“: არის თუ არა კოალიციის შიგნით ნატოს საკითხზე კონსენსუსი?

**– ბიძინა ივანიშვილი: კოალიცია ერთსულოვანია ნატოს საკითხში. ჩვენი ბედია ევროპა და ევროპისკენ სვლა. ამაში ჩვენ არ ვართ განსაკუთრებულნი, ნებისმიერმა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ევროპულ დემოკრატიულ სტუქტურებზე უკეთესი მოდელი კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, ჩვენი, კოალიციის არჩევანიც ევროპა და ევროატლანტიკური კავშირების გამყარებაა, რაც უალტერნატივოა უსაფრთხოების თვალსაზრისით. გასაგებია, რომ რუსეთთან ურთიერთობები აუცილებლად უნდა დალაგდეს. ერთ-ერთი ჩვენი სტრატეგიული გეგმა ამას ეხება. ამის აუცილებლობას ვგრძნობთ და ვაცნობიერებთ სირთულეს, მაგრამ უნდა შევძლოთ. ესაა დიპლომატია და ამიტომ მოვდივართ ჩვენ. ესაა სახელმწიფო მოხელეების ვალდებულება და არა ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა, თავისი ემოციურობით, როდესაც სრულიად გააფუჭა ურთიერთობა რუსეთთან. ჯერ ცივი ომის მდგომარეობაში გადაიყვანა თავისი რიტორიკით, რასაც 2008 წელი მოჰყვა. ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა სწორი ქმედებით. დღეს კიდევ ჩვენი ტერიტორიების 30 პროცენტი ოკუპირებულია. ეს არ არის მარტივი პროცესი, თუმცა აუცილებლად დავძრავთ მდგომარეობას მკვდარი წერტილიდან, აუცილებლად დავიწყებთ რუსეთთან მოლაპარაკების პროცესს. შევეცდებით, დაველოდოთ დროს, რომ რუსეთთან ინტერესების თანხვედრით ვისარგებლოთ. რუსეთისთვის, ჩემი აზრით საინტერესო არ არის აფსაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები. ეს რუსეთს თავად შეუქმნის საფრთხეს, როგორც უსაფრთხოების მხრივ, ისე დემოკრატიულ ქვეყნებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ურთიერთობების აღდგენა რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. ჩვენ, ქართველებმა უნდა მოვახერხოთ და შევქმნათ ისეთი თბილი სიტუაცია, რომ პირველ რიგში, თავად ქართველებს ჰქონდეთ აქ დაბრუნების სურვილი, ამის შემდგომ ჩვენი ძმები ოსები და აფხაზებიც სხვაგვარად შეხედავენ სიტუაციას და სხვაგვარად გადააფასებენ. რუსეთთანაც გაიოლდება სიტუაცია, როდესაც ჩვენ ნორმალური, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობას დავიწყებთ. და სამართლიანობას აღვადგენთ. ეს ყველაფერი ჯერ შიგნით უნდა გადაწყდეს, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ შიგნით შეგვიძლია პროცესების მოგვარება.**

„ამერიკის ხმა“: გაქვთ თუ არა პირდაპირი კონტაქტები აფხაზებთან და ოსებთან და როგორ აპირებთ რუსეთის ფაქტორის გარეშე მათთან საუბარს?

**– ბიძინა ივანიშვილი: საუბედუროდ, მე არ მაქვს პირდაპირი ურთიერთობები აფხაზებთან და ოსებთან. ჩემი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ჩაკეტილი ცხოვრებით ვცხოვრობდი და ასეთი კავშირებით არ ვსარგებლობდი. პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ, მოკლე დროში ურთიერთობის დამყარებას ვერ მოვახერხებდი და მართალი გითხრათ, დიდი მცდელობაც არ მქონია. თუმცა კოალიციის წევრები ამას ცდილობენ, მათ აქვთ გარკვეული კავშირები, რომელთა გაღრმავებას ვცდილობთ. რუსეთის ფაქტორის გარეშე, ჩვენ ალბათ უკვე ველარ მოვახერხებთ ჩვენ ძმებთან, აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკებას. ძალიან დიდი და მძიმე საკითხი ამ მხრივ რუსეთი იქნება, რომელსაც დიდი როლი ექნება. ჩვენ ამას კარგად ვაცნობიერებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რუსეთთან ურთიერთობა დავალაგოთ.**

„ამერიკის ხმა“: ბატონო ბიძინა, თქვენ საუბრობდით ნატოსკენ და ევროსტრუქტურებისკენ უალტერნატივო სწრაფვაზე. როგორ წარმოგიდგენიათ საუკეთესო ურთიერთობების შენარჩუნება ერთდროულად რუსეთთან და ნატოსთან და ამ ყველაფრის პარალელურად აფხაზეთთან და ცხინვალთან კავშირის აღდგენა?

**– ბიძინა ივანიშვილი: სააკაშვილმა, თავის დროზე ნატო გამოიყენა რუსეთის გამაღიზიანებლად. ამით აბრაზებდა და აღიზიანებდა, თითქოს ნატოში შესვლა რუსეთისთვის იყო დამაქცევარი და კატასტროფა. რეალურად ეს ასე არაა. ნატო ცდილობს რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და ამის გართულებაში სააკაშვილს დიდი წვლილი აქვს, სხვათა შორის ეს სწორედ ახლა მომივიდა აზრად. რიტორიკით, გამომწვევი საუბრით სააკაშვილი ნატოს რუსეთის წინაშე წარმოაჩენდა ისე, როგორც ხარს უფრიალებენ წითელ ნაჭერს. მე არ მგონია, რომ ნატო, საერთოდ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისთვის. ასე მიიჩნევს ბევრი პოლიტიკოსი. ეს არაა მარტო ჩვენი კოალიციის და ჩვენი მთავრობის სამუშაო. მთელი მსოფლიო მუშაობს ამ მიმართულებით და თავად რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტიც. რა თქმა უნდა, ჩვენ, ამ ყველაფერში ვერ გვექნება ძირითადი როლი. მე თვალყურს ვადევნებ გლობალურ პოლიტიკას, გეოპოლიტიკას. იქაც არ ვიტყვი, რომ პროცესები ძალიან კარგად მიდის, მაგრამ არის მცდელობა, ნატოს მხრიდან, მასში შემავალი ქვეყნების მხრიდან რუსეთთან ურთიერთობების დალაგების. დარწმუნებული ვარ, საღი აზრი გაიმარჯვებს და სადღაც აქ მოხდება ჩვენი ინტერესების თანხვედრაც, რასაც მე მუდამ ვიმეორებ. მე პროგრესისკენ ვიყურები და მიმაჩნია, რომ მომავალში ნატოსა და რუსეთის ურთიერთობები დალაგდება. საქართველო შეიძლება იყოს ნატოშიც და ამავდროულად, იმეგობროს რუსეთთანაც. რუსეთისთვის არ არის ეს ყველაფერი პრინციპული. ამის კარგი მაგალითი ჩვენ გვაქვს ბალტიისპირეთის ქვეყნების სახით. ოდესღაც მათ ევროპასთან გაერთიანებას და ნატოში შესვლას რუსეთი დიდი აგრესიით შეხვდა. დღეს კი კარგი ურთიერთობებია მათ შორის. თუ ჩვენ ისევე სწორად მოვიქცევით, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩვენც შეიძლება იგივე გზა გავიაროთ და უფრო იოლადაც კი.**

**მოდით, დავუბრუნდეთ ისევ საშინაო საკითხებს.**

„ამერიკის ხმა“: არჩევნებში უმცირესობით გასვლის შემთხვევაში, გაქვთ თუ არა სათადარიგო გეგმა და რას მოიცავს ეს სტრატეგია?

**– ბიძინა ივანიშვილი: სათადარიგო გეგმა არ გვაქვს და არ გვაქვს აბსოლუტურად შეგნებულად. დარწმუნებულები ვართ, რომ გვაქვს გამარჯვების ობიექტური შესაძლებლობები. გეგმა, ძირითადად ამაზე გვაქვს აგებული. სხვა ნებისმიერ შესაძლებლობაში, ჩვენ დავრჩებით კანონის ფარგლებში, ისე, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის იქნება უკეთესი. ჩვენთვის არჩევნებზე 45 პროცენტის აღებაც იქნება წაგების ტოლფასი. ჩვენ ვფიქრობთ, დიდი საფუძველი გვაქვს, მივიღოთ 70 პროცენტზე მეტი.**

„ამერიკის ხმა“: ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში არსებობს მაგალითები, როდესაც ხელისუფლების შეცვლის დიდი გეგმებით დაწყებული კამპანიები წარუმატებლად დასრულდა. მათ შესახებაც მინდა გკითხოთ. გამორიცხავთ ბურჯანაძესთან თანამშრომლობას?

**– ბიძინა ივანიშვილი: ბურჯანაძესთან დაკავშირებით ჩვენ ყველაფერი გავარკვიეთ. რაღაც გამონათქვამებთან დაკავშირებით იყო გაუგებარი რეაქციები. იყო ზედმეტი გაღიზიანება, რატომ იკითხეს რამეო, ამბობდნენ.**

„ამერიკის ხმა“: არ ფიქრობთ, რომ თქვენს შორის შეხვედრა ბევრ რამეს გაარკვევდა?

**ბიძინა ივანიშვილი: მე, ზოგადად წინააღმდეგი ვარ ტოტალური გაერთიანებების. ის, რომ ბურჯანაძე დღეს ოპოზიციაშია, ძალიან კარგია, ის რომ რომ მას სხვანაირი ხედვა აქვს და ფიქრობს, რომ არა ნატო და ევროპა, არამედ რუსეთია პირველი პრიორიტეტი, ესეც ნორმალურია და კარგია, რომ განსხვავებულად ფიქრობს.**

იხ. 4 გვ.

◎ აქტუალური ინტერვიუ

# ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენთვის 45 პროცენტიც არ იქნება საკმარისი, ვფიქრობ, 2/3-ით გავიმარჯვებთ“



(მესამე გვერდიდან) კანონიერი გზით და არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა რომ ილუზიაა და აუცილებლად ქუჩიდან უნდა დაიწყოს წინააღმდეგობა, ესეც მისი საქმეა და აქვს უფლება ასე ფიქრობდეს. კიდევ გვაქვს შეკითხვები, თუმცა ეს ორი საკითხიც საკმარისია იმისთვის, რომ ვთქვათ: რთული იქნება ჩვენი თანამშრომლობა, რამდენადაც კოალიციაში ამ საკითხებზე განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს. მაგრამ მე ხაზი მინდა გავუსვა, რომ ჩვენ, კოალიციაში არ ვფიქრობთ, რომ ის თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვცნობთ მათ ნამდვილად ოპოზიციურ ძალად, განსხვავებით სხვა ფსევდო-ოპოზიციური ძალებისგან. არის პარტიები, რომლებთანაც ვაპირებთ თანამშრომლობას, მაგალითად, ჟორჟოლიანის პარტია, სოციალ-დემოკრატებთან, მაჟორიტარების დონეზეც, ასევე გაჩეჩილაძესთან, მწვანეების პარტიიდან და სალომე ზურაბიშვილთან. არც მათთან ვერთიანდებით, მაგრამ ჩანს მათი მხრიდან დიდი მოთხოვნა, დიდი იმედგაცრუება და ისტერიკებში არ არიან და არ გამოხატავენ, თუ როგორ ვბედავთ და არ ვერთიანდებით მათთან, განსხვავებით ბურჯანაძის პარტიისგან. მომავალში თანამშრომლობას არ გამოვრიცხავთ არც ერთ პარტიასთან. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, სააკაშვილის იდეოლოგებთანაც, ჩვენს ყველაზე მძაფრ ოპონენტებთანაც კი არ გამოვრიცხავთ თანამშრომლობას, თუ ქვეყნის სასარგებლო პოზიციას დაიჭერენ. ჩვენ ბურჯანაძის პარტიასთან არც გაბუტულები ვართ და არც მტრულად განწყობილი. უფრო მეტიც, მათთან ბევრი საინტერესო საქართველოსთვის სათაყვანო ადამიანია გაერთიანებული.

„ამერიკის ხმა“: რას მიიჩნევთ ხელისუფლების წარმატებულ რეფორმად/ნაბიჯად?

**ბიძინა ივანიშვილი:** დღეს, პრაქტიკულად, აღარ შემიძლია, ხელისუფლებას წარმატებული ნაბიჯი წარმატებულად ჩავთვალო. მუდამ ვამბობდი, რომ პატრულის პროექტი იყო ყველაზე წარმატებული. ევროპელები როდესაც მეკითხებიან ჩვენს გზაზე და სტრატეგიაზე და მე ვპასუხობ, რომ ჩვენი გზა ევროპაა, მიბრუნებენ კითხვას: რამდენად ახლოსაა ქართული მოსახლეობის მენტალიტეტი ევროპასთან. მე მომყავდა პატრულის მაგალითი, როდესაც ათასობით ქართველი ძალიან სწრაფად დადგა ევროპულ გზაზე და უარი თქვა კორუფციაზე. ოდესღაც მე ვფიქრობდი, რომ ეს იყო ხელისუფლების წარმატება, თუმცა დღეს მივიჩნევ, რომ ეს მხოლოდ ქართული მოსახლეობის კულტურის მაჩვენებელია. როგორც კი სწორი პროექტი და სწორი გზა წამოსცდა ჩვენს ხელისუფლებას, მან მოახდინა სწორება და სწორი რეაქცია. დღეს კი პოლიცია მთლიანად პოლიტიზებული გახადეს, იმის ნაცვლად, რომ ხალხს იცავდეს, მისი ძირითადი დამთრგუნავი ძალაა. ასევე არ შეიძლება დაიკარგოს რეფორმა, რასაც წინამორბედმა ხელისუფლებამ ვერაფრით გაართვა თავი: გადასახადების ადმინისტრირება, ფულის მოგროვება ისწავლეს და ისე კარგად ისწავლეს, რომ ესეც მეორე მხარეს გადაღუნეს. ახლა რაც არაა მოსაგროვებელი, იმასაც აგროვებენ და ნებისმიერი მოქალაქის ჯიბეში ძვრებიან. ეს საკითხიც ბანალური გახდა, ამიტომ აღარ შემიძლია პოზიტივად ჩავუთვალო. არა სახელმწიფო, არამედ მაფიოზური ფუნქციის შემსრულებლად იქცნენ. ვისაც გნებავთ დაიჭერენ, საპროცესო გარიგებას დაუდებენ. სასამართლო არ არსებობს. უსამართლობის ტოტალური განცდაა ქვეყანაში, დათრგუნულია. ბიუჯეტი არ გაზრდილა ეკონომიკის ხარჯზე, უბრალოდ წინა მთავრობა ფულის მოგროვებას ვერ ახერხებდა.

პოლიციაზეც ძალადობა მიდის სააკაშვილის მხრიდან. პოლიციელების უმრავლესობას, დარწმუნებული ვარ, საერთოდ არ მოსწონთ ის უკანონობები, რასაც მისგან ითხოვენ და ისინიც ახორციელებენ. ამას აკეთებს ერთი ადამიანი. რა თქმა უნდა, პოლიციაც მიიღებს დიდ შეღავათს, როდესაც ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში. ჩვენ გვყავს უამრავი პატივსაცემი პოლიციელი. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ კადრები, როდესაც ჩვენი კოლონა გააჩერეს, დაახლეობით ერთი თვის წინათ საჩხერეში ერთ-ერთი აბსოლუტურად ინტელიგენტური და საღად მოაზროვნე პოლიციელი იყო, თუმცა მან აზრის გამოთქმა ვერ შეძლო, რადგან იქ პოლიციის მეორე მანქანა იდგა და მასზე იყო დამოკიდებული. ის ვერ მოქმედებდა კანონის შესატყვისად, მას კარნახობდნენ ზემოდან, რა უნდა ექნა. ისინი ჩემს თვალწინ განიცდიდნენ ძალადობას.

„ამერიკის ხმა“: ორი დღის წინათ დაარბიეს ანტიჰომოფობიური აქცია თბილისში. რას ფიქრობთ ჰომოფობიურ ნიადაგზე დაპირისპირებაზე ისეთ ტრადიციულ საზოგადოებაში, როგორიც საქართველოშია?

**ბიძინა ივანიშვილი:** მე ჩემს პოზიციას სექსუალურ თუ რელიგიურ უმცირესობებზე ხშირად გამოვხატავ და ახლაც შემიძლია დავაფიქსირო, რომ მათ ჩვეულებრივ მოქალაქეებად მივიჩნევ და არ განვასხვავებ სხვებისგან. ექსცესები, მე მგონი დაგეგმილია ზემოდან. თუმცა ეს კონკრეტული საკითხი არ შემისწავლია და არ შემიძლია გიპასუხოთ ვინ იყო დამნაშავე. მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ ესეც იყო ინსპირირებული ხელისუფლების მხრიდან. როგორც ბათუმში, სააკაშვილს სურს, აჩვენოს ევროპას, როგორი უკულტურო ხალხი ვართ, მეჩეთი ვერ აგვიშენებია თურმე ბათუმში. იგივე ხდება დავით გარეჯში. ხელისუფლების იდეოლოგია იმაში მდგომარეობს, რომ ქართველები არიან უმართავი ხალხი, უკულტურო და სრული დემოკრატია ქვეყანაში არ შეიძლება. ამიტომ იგონებს სინგაპურიზაციას და ასე შემდეგ. სინამდვილეში არც სინგაპური იცის მაგან რაა, მაგრამ ფიქრობს, რომ კარგია. ეს არაა ევროპა, მაგრამ ძალიან კარგი რაღაცაა. იცით, ალბათ, სინგაპურული დემოკრატია და ისიც, იქ პარტიები რა დღეში არიან. მას სურს, შექმნას ილუზია, რომ სააკაშვილი აშენებს კარგ ქვეყანას, მაგრამ ქართველებისთვის ზედმეტი უფლებების მიცემა არ შეიძლება, რადგან ისინი უბედურებას მოიწევენ და ამბოხი მოხდება ქვეყანაში და აჩვენებს ამის მაგალითად უცხოელებს იმას, რომ შეიძლება, ქართველები, ელემენტარულად, მეჩეთის საკითხზეც კი ვერ შეთანხმდნენ.

**ნინო დალაქიშვილი,**
„ამერიკის ხმა“

◎ ევროკავშირი-საქართველო

# ისევ მეორე ხარისხოვანი როლი თუ თანასწორუფლებიანი წევრობა

ევროკავშირმა ოფიციალურად მოაწერა ხელი საქართველოსთან გამარტივებულ სავიზო ხელშეკრულებას. ეს იმას გულისხმობს, რომ გარკვეული კატეგორიის მოქალაქეები, დიპლომატები, ჟურნალისტები, მეცნიერები, სტუდენტები გამარტივებული გზითა და უფასოდ მიიღებენ ვიზებს ევროპულ ქვეყნებში გადაადგილებისათვის. მაგრამ ჩვენს თანამემამულეებს – ჟურნალისტს გრიგოლ არახამიასა და მკვლევარ ვახტანგ ქარქაშაძეს ევროზონაში ჩასასვლელად 35 დოლარი მაინც გადაახდევინეს. ვიზების ფასილიტაციისა და რედმისიის ხელშეკრულებით, საქართველომ არა მხოლოდ პრივილეგიები მიიღო, არამედ ვალდებულებებიც დაეკისრა. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს მოქალაქეთა უკან, სამშობლოში დაუბრკოლებლად დაბრუნება. ამისთვის ევროკავშირმა 3 მლნ ევრო გამოჰყო. აღსრულება ჩეხეთის შსს-ს დაევალა. მისი ოფისი თბილისში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროშია. როგორც არახამიამ და ქარქაშაძემ გვითხრეს, მათ პრობლემები შეექმნათ უკან დაბრუნების დროსაც. მომხდარის შესახებ ჩეხებისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერაფრით მოახერხეს – შეუძლებელი აღმოჩნდა შენობაში შეღწევა. ტელეფონი მუდმივად დაკავებულია, ან არავინ პასუხობს. შესვლის მსურველთ კი სუზელიანის უწყება უქმნით დამატებით პრობლემებს.

ჩვენგან მოვლინებულთ უდიერად მოექცნენ საბაჟო დათვალიერების დროსაც. მათ ჩხრეკა კრიმინალების მაგვარად ჩაუტარეს. ჩამოართვეს 5-5 ბოთლი ძვირადღირებული ღვინო „ევროპული“, რომელიც მასპინძელთათვის საჩუქრად მიჰქონდათ. ხელშეკრულებით კი, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში ნაყიდი სუვენირები, ჩამორთმევას არ ექვემდებარება. შეურაცხყოფილმა არახამიამ და ქარქაშაძემ განმარტებისთვის წერილობით ევროკავშირის ელჩს საქართველოში ფილიპ დიმიტროვს მიმართეს, მან კი, ჩვენი თანამოქალაქეები პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა.

საჯარო ინფორმაციაზე ჩვენებურებს პასუხი არ გასცა ევროკავშირში საქართველოს ლობისტი ქვეყნის, ჰოლანდიის ელჩმაც. ეს მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული კოდექსის თავი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე სწორედ ჰოლანდიურიდან არის გადმოქართულებული.

როდესაც ქარქაშაძემ და არახამიამ განმარტებისთვის ევროკავშირის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს სატურნო ნომენოს მიმართეს, პასუხად მიიღეს – ბევრ ევროპელ ჩინოსანს არ უნდა, რომ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები მათ ტერიტორიაზე შემოუშვანო.

გამოდის, რომ ჩვენ მეორეხარისხოვანი მოქალაქეების რიცხვს მივეკუთვნებით. ხელისუფალთა ბაქი-ბუქი ჩვენი პირველევროპელობის შესახებ მხოლოდ მითია. ყველაფერი „ნაციონალების“ არათანამიმდევრული პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯების შედეგია, აცხადებენ ექსპერტები, პოლიტოლოგები.

კიდევ ერთი ჩინოსანი ევროკავშირიდან შტეფან ფიულე აცხადებს, რომ წევრობის კანდიდატმა ქვეყნებმა უფრო მეტი უნდა გააკეთონ, რომ უფრო მეტი მიიღონ. თუ ევროკავშირი ადრე თანაბრად უდგებოდა კავშირის კანდიდატობის ყველა ქვეყანას, ახლა ურთიერთობების ახალი ეტაპი დადგა. ყველა მიიღებს დამსახურებისდა მიხედვით. საინტერესოა, მეტი რაღა უნდა გააკეთოს საქართველოს მოსახლეობამ, თუ მას უნიათო და უვარგისი ხელისუფლება ჰყავს?

### იტვირთებს ამჟამინდელი ხელისუფლება მძიმე ჯვარს?

ეკონომისტ გიორგი ლაშხიას განმარტებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის, ურთიერთობები ორმხრივი ხელშეკრულებით რეგულირდება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა. საქართველოს მინიჭებული აქვს პრეფერენციათა ზოგადი სარგებლობის უფლება, რაც ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე თავისუფლად გასვლის უფლებას გვაძლევს. ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობას საქართველოსათვის ბევრად მეტად სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე უბრალოდ თავისუფალ ვაჭრობასო, აცხადებს ეკონომისტი ლაშხია.

რამდენიმე წლის წინათ ცნობილმა კვლევითმა ჯგუფმა GASE-მ დაადგინა, რომ ხელშეკრულების დადებიდან 5 წელიწადში, ჩვენს ქვეყანაში არნახული წინსვლა ექნებათ საფეიქრო მრეწველობას, სამთომოპოვებით დარგებს, რეზინის, ქიმიური და პლასტმასის პროდუქციის წარმოებას, მეტალურგიას. ყოველივე დადებითად აისახება ხელფასების ზრდაზე. მაგრამ ეს უფრო დაბალი კვალიფიკაციის მუშახელს ეხება, ვიდრე მაღალკვალიფიციურს, რადგან ზრდის ტენდენცია ექნებათ იმ დარგებს, რომელთაც მეტი შრომითი ინტენსივობა ახასიათებთ – გვიხსნის ჩვენი რესპონდენტი. ყოველივე კი იმპულსს შესძენს საექსპორტო საქონლის ზრდას.

### ამათ ხელში უფრო მძიმე მდგომარეობა გველის

ევროპასთან თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობა მძიმე შედეგებს მოუტანს ჩვენს ისედაც მყიფე ეკონომიკასო, ვარაუდობენ ექსპერტები. მათი აზრით, ყველაზე მძიმე მდგომარეობა პროდუქტის უვნებლობისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროებში შეიქმნება. პროდუქტის უვნებლობის რეგულაციების გამკაცრება კიდევ უფრო გაზრდის ისედაც მაღალ ინფლაციას. არადა ევროკავშირი აუცილებლად მოითხოვს DEFTA-ს ფარგლებში მოთხოვნების უმოკლეს ვადებში გატარებას.

„ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი გია ჯანდიერი აცხადებს, რომ მაგალითად ხორცზე, რძის პროდუქტებზე, იმდენი მოთხოვნა იქნება გასათვალისწინებელი (სად გაიზარდა, რით კვებავდნენ, როდის დაიკლა, ვინ გაიტანა ბაზარზე და ა. შ.ძ, რომ მათი შესრულება ხელისუფლებას 700 მლნ ლარი დაუჯდება. ერთი ამდენი დაუჯდება ხელისუფლებას სოციალურად დაუცველთათვის კომპენსაციების გაცემა, რადგანაც ამ კატეგორიის მოსახლეობა არაკონტროლირებად და იაფფასიან პროდუქტს ვეღარ შეიძენს, გამკაცრებული კანონების გამო ის უბრალოდ დახლებიდან გაქრება – ამბობს ჯანდიერი.

შორეული პერსპექტივა იმედისმომცემია, მაგრამ მძიმე გვექნება უახლოესი მომავალი. თუმცა ხელისუფლებას არაფერი ემუქრება. თუ მის კეთილდღეობას საფრთხე შეექმნება, მოსახლეობას გაუზრდიან ხელფასებს, გაზრდიან და მოიგონებენ ახალ გადასახადებს. მთელი სიმძიმე დაბალშემოსავლიან და სიღარიბის ზღვარს მიღმა მდგომ მოსახლეობას დააწვება. მაგრამ არჩევნებამდე სირთულეებს არ უნდა ველოდოთ. შემდეგ კი, თუ ღმერთმა დაიფაროს და „ნაციონალებმა“ გაიმარჯვეს, ისინი თავიანთი სკამების შენარჩუნების მიზნით უყოყმანოდ დასთანხმდებიან ევროკავშირის მოთხოვნებს. მოსახლეობის 75-80 პროცენტისთვის ეს იქნება შოკი. მერე რა, იტყვიან ნაციონალები, „შოკური თერაპია“ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ გაიარაო. იმას კი არად დაგიდევენ, რომ ამ ტიპის ცივილიზებული სახელმწიფოების საკუთარ მოსახლეობაზე მზრუნველმა ხელისუფლებებმა ახალი მოთხოვნების მიღებამდე მთელი რიგი ღონისძიებები, რეფორმები გაატარეს, რათა ხალხს ნაკლებად მტკივნეულად გადაეტანა ახალ რელსებზე გადასვლა – ამბობს ლაშხია.

**ზაზა ბილიხოძე**

განსჯა



**საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობების წარსულზე, დღევანდელობასა და მომავალზე „ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტსა და კავკასიის პროექტის ხელმძღვანელს ლოურენს შითს.**

# ხანდახან შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველოში ჰგონიათ, ობამა და კონგრესი ყოველდღე საქართველოზე ფიქრობენ

**— ბატონო ლოურენს, ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე თქვენ საქართველო-ამერიკის ურთიერთობის წარსულზე, დღევანდელობასა და მომავალზე საინტერესო მოხსენებით წარსდექით. მოდით, ჩვენი საუბარი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების წარსულზე, ანუ გუშინდელ დღეზე საუბრითა და თქვენეული ხედვა-შეფასებით დავიწყოთ. . .**

— ამ თემაზე საუბარს დავიწყებდი საბჭოთა კავშირზე ამერიკელების წარმოდგენით. ამერიკელები სსრკ-ის რუსეთის, კრემლისა და მოსკოვის პრიზმით ვუყურებდით. ჩვენთვის საბჭოთა კავშირი იყო რუსეთი და რუსეთი იყო საბჭოთა კავშირი. ამერიკელთა უმრავლესობას წარმოდგენა არ ჰქონდა საქართველოზე. საქართველოზე სტერეოტიპული წარმოდგენა ასეთი იყო - ქართველები იმიტომ ცხოვრობენ დიდხანს, რომ ჭამენ მაწონს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების საწყის ეტაპზე ჩვენ ძალიან მწირი ცოდნა გვქონდა საქართველოზე.

საქართველოში პირველად 1987 წელს მაშინდელი ლენინგრადიდან ჩამოვედი. პირველი შთაბეჭდილება ასეთი იყო — ეს არ არის საბჭოთა კავშირი. ამგვარი აღქმა აძლიერებდა აზრს, რომ სსრკ სიდიდის გარდა, რთული ქვეყანა იყო. როცა აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა, აშშ-ში საქართველოს საკითხებში ექსპერტებიც კი არ იყვნენ. იყვნენ მეცნიერები, რომლებიც უნივერსიტეტებში მუშაობდნენ, მაგრამ მათ პროცესებზე გავლენის მოხდენა არ შეეძლოთ. იმის გამო, რომ საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, საქართველო სსრკ-ის უკანასკნელი ყოფილი რესპუბლიკა აღმოჩნდა, რომელიც გაერომ აღიარა და თავის წევრად მიიღო. გაეროში საქართველოს მიღების პროცესის დაჩქარება შევარდნაძის სახელს უკავშირდება. იგი გვიანდელი სსრკ-სა და ახალი საქართველოს სახე იყო. მეორედ საქართველოში 1992 წლის 16 აგვისტოს, ანუ აფხაზეთში ომის დაწყებიდან ორ დღეში ჩამოვედი. ჩამოსვლისთანავე საქართველოში აშშ-ის ახლად გახსნილ საელჩოში მივედი. დიპლომატები ახალი ჩამოსულები იყვნენ და საქართველოზე ცოტა რამ იცოდნენ. მიუხედავად ამისა, ამერიკამ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებში, როცა ქვეყანას ბიუჯეტიც კი არ გააჩნდა, ქვეყნის ფეხზე დადგომაში უდიდესი როლი შეასრულა.

**— აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებს პრაქტიკულად ჩვენ თვალწინ ჩაეყარა საფუძველი და ვითარდებოდა. თქვენ როგორ შეაფასებდით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების 20-წლიან ისტორიასა და ისტორიის ამ მცირე მონაკვეთზე მხარეების მიერ დაშვებულ შეცდომებსა და ამ შეცდომებისგან მიღებულ გაკვეთილებს?**

— ჩემი დაკვირვებით, აშშ-საქართველოს 20-წლიან ურთიერთობებში სამი ეტაპი შეიმჩნევა. პირველს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ახლად გაცნობის პერიოდი. აშშ-მა დაამყარა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე საქართველო ჩვენი აღიარების შემდეგ გაჩნდა. აშშ საქართველოსთან შედარებით ძალიან ახალგაზრდა ქვეყანაა. საქართველო თავისი ისტორიითა და კულტურით თანამედროვე სახით არსებულ აშშ-ზე ბევრად ასაკოვანი ქვეყანაა.

აშშ-საქართველოს ურთიერთობები ხასიათდება იმით, რომ ვაშინგტონს საქართველოში ფსონი ერთ პიროვნებაზე, ედუარდ შევარდნაძეზე ჰქონდა გაკეთებული და მთელი პოლიტიკაც ამაზე იყო აგებული. ის, რომ შევარდნაძეს ბერლინის კედლის დამანგრევლისა და გორბაჩოვთან ერთად „პერესტროიკის“ პოლიტიკის გამტარებლის იმიჯი ჰქონდა, საქართველოსთვის სასარგებლო აღმოჩნდა. თუ რუსეთს არ ჩავთვლით, აშშ საქართველოს, სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, უდიდეს ყურადღებას აქცევდა. ეს აისახა საქართველოსადმი ფინანსურ დახმარებაზეც. აშშ საქართველოს მაშინ დაეხმარა ყველაზე მეტად, როცა ქვეყანას ბიუჯეტიც კი არ ჰქონდა. 1992-1993 წლებში საქართველოს ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ამერიკულ დახმარებაზე მოდიოდა — 1989 წელთან შედარებით საქართველოს შიდა მთლიანი პროდუქტი 80%-ით დაეცა და შესაძლოა, მშპ-ს ასეთი ვარდნა მსოფლიოს ისტორიაში უნიკალური შემთხვევაც კი იყოს. საქართველომ აშშ-სგან ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ დიდი მატერიალური დახმარება მიიღო. ჩემი აზრით, იმხანად საქართველოს პირველი პირი შევარდნაძე რომ არ ყოფილიყო, საქართველო აშშ-სგან ასეთ სერიოზულ დახმარებას ვერ მიიღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებმა ახლა მეტი იციან საქართველოს კულტურასა და ისტორიაზე, 20 წლის შემდეგაც ამერიკელთა უდიდესმა ნაწილმა ცოტა რამ იცის საქართველოზე. ამერიკელებს სავსებით სამართლიანად გვსაყვედურობენ გეოგრაფიის ცუდ ცოდნას. ამას წინათ, ამერიკაში ჩამოსული ჩემი ქართველი მეგობრები ერთ ნაცნობს წარვუდგინე. მეც არ ველოდი მისგან საქართველოს „რუსეთის საქართველოდ“ მოხსენიებას.

თუ დავუბრუნდებით 90-იან წლებს, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიმართ ყურადღების გამოჩენა ნიშნავდა აშშ-ის მხრიდან საქართველოს მიმართ ინტერესს. თუ იმ პერიოდის გაკვეთილებზე ვისაუბრებთ, მთავარი გაკვეთილი ასეთია — არ შეიძლება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების პიროვნებებზე აგება. ვაშინგტონის მაშინდელი შეცდომა იყო ისიც, რომ აშშ-მა შევარდნაძე და ქართველი ხალხი ერთი და იგივედ მიიჩნია. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ვაშინგტონი იყო ბოლო ქვეყანა, რომელიც ყველაზე გვიან მიხვდა, რომ შევარდნაძის ეპოქა დასრულებულია. შემდეგ მოხდა „ვარდების რევოლუცია“. 2003 წლის შემდეგ აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო. ჩემი აზრით, ახლა ეს ურთიერთობები უფრო რეალისტური და, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო სრულფასოვანია.

ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში ფიქრობენ, — ობამა და აშშ-ის კონგრესი ყოველდღე საქართველოზე ფიქრობენო. რა თქმა უნდა, ეს ასე არაა. მათ ძალიან ცოტა დრო და ბევრი პრობლემა აქვთ. ამის მიუხედავად, აშშ-ის დემოკრატიული და რესპუბლიკური ადმინისტრაციისთვის საქართველო ყველაზე დიდი მოკავშირეა. ბევრი მიიჩნევს, რომ აშშ-ის საქართველოსადმი დამოკიდებულება რეგიონში აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებს უკავშირდება. რა თქმა უნდა, აშშ-ის რეგიონში აქვს თავისი ინტერესები, მაგრამ აშშ-ის საქართველოსთან ახლო ურთიერთობების მიზეზი ის არის, რომ აშშ დემოკრატიული ქვეყანაა და იმის მიუხედავად, რომ საქართველომ დემოკრატიის მშენებლობის გზაზე ბევრი შეცდომა დაუშვა, იგი დემოკრატიისკენ ნამდვილად ისწრაფვის.

ქართული მენტალიტეტის გათვალისწინებით, ძნელად წარმომიდგენია საქართველოში ნამდვილი დიქტატურის დამყარება. აშკარაა, რომ ქართული მენტალობისა და ფსიქოლოგიისთვის დიქტატურა მიუღებელია. საქართველოს დამოუკიდებლობის 20-წლიანი ისტორიის შემდეგ საქართველო რეგიონის სხვა ქვეყნებისგან და კონფლიქტის ზონებისგან იმით განსხვავდება, რომ საქართველოს მოქალაქეებს აზრის გამოთქმის არ ეშინიათ და პოლიტიკაზე საუბრისას აზრს თავისუფლად გამოთქვამენ.

**— წარსული და დღევანდელობა მეტ-ნაკლებად მიმოვიხილეთ. 2009 წელს აშშ-სა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებით ვაშინგტონი და თბილისი სტრატეგიული პარტნიორები არიან. როგორია ორი ქვეყნის ურთიერთობის პერსპექტივა?**

— სინამდვილეში, ეს ხელშეკრულება სხვა არაფერია, თუ არა იმის აღიარება, რომ აშშ-სა და საქართველოს ერთმანეთთან არა მარტო ახლო ურთიერთობები აქვთ, არამედ მოკავშირე ქვეყნები არიან. სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკებიდან აშშ-ის სამოკავშირეო სტრატეგიული ურთიერთობები ბალტიისპირეთის ქვეყნებთან და ისიც ნატოში თანამშრომლობის ფარგლებში აქვს. რაც შეეხება ხელშეკრულებით ნავარაუდევი მუხლების მატერიალიზაციას, იგი სულ უფრო მეტად აისახება სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში პროექტის განხორციელებაში. საქართველოსთვის სასარგებლო იქნება აშშ-ის მხრიდან სოფლის მეურნეობის, მედიისა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში განვითარებისთვის აღმოჩენილი დახმარება. ამ ხელშეკრულების სრულად ამოქმედება კარდინალურად შეცვლის ვითარებას საქართველოში და აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობები ახალ დინამიკას შეიძენს.

**— ვითარებაში, როცა საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი სამხრეთ კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში დასავლეთისა და იმავე აშშ-ის გავლენის ზრდას ვერ ეგუება, პუტინის კრემლში დაბრუნების შემდეგ რამდენად რეალისტურია ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ის პერსპექტივა, რომელზეც თქვენ ისაუბრეთ?**

— ის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები, ეს რეგიონში დესტაბილიზაციის ფაქტორია. საქართველოსა და რუსეთის პირველი პირები ერთმანეთთან ურთიერთობას პიროვნული მიუღებლობის გამო ვერ ახერხებენ. როგორც ჩანს, ასე მანამდე იქნება, თუ ამ თვალსაზრისით რამე არ შეიცვლება. ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას შედეგის მისაღწევად ორჯერ მეტი მუშაობა უწევს.

**— 2008 წლის ომის შემდეგ მსოფლიომ მთელი სიცხადით დაინახა, რა საფრთხეების წინაშე დგას საქართველო. თქვენ, როგორც საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტი და კავკასიის პროექტის ხელმძღვანელი, რას მიიჩნევთ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ?**

— საქართველოში მანამდე ვერ იქნება კარგი სიტუაცია, ვიდრე რუსეთი არ შეასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო დანაყოფები იქნებიან. თუ მხარეებმა გაუთვლელი ნაბიჯები გადადგეს, ქვეყნის სტაბილურობისთვის საფრთხე მნიშვნელოვნად გაიზრდება.

გარდა ამისა, რეგიონის ორ დანარჩენ ქვეყანაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ცუდი ტენდენციები იკვეთება. მხედველობაში მაქვს ის, რომ ბაქოსა და ერევანს შორის 20 წლის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. პროცესი ოფიციალურად დასრულებულად არავის გამოუცხადებია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მხარეები მაღალი ტემპით იარაღდებიან. არ ვამბობ, რომ შესაძლოა, მათ შორის ომი ხვალ დაიწყოს, მაგრამ თუ ისინი კვლავაც სამხედრო ბიუჯეტის ზრდას გააგრძელებენ, კონფლიქტის განახლება გამორიცხული არ იქნება. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის ცხელ სტადიაში გადასვლა გამოიწვევს სხვა ქვეყნების — თურქეთის, რუსეთისა და ირანის ჩართვას. ღმერთმა ნუ ქნას აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტის განახლება, ვინაიდან მათ შორის საომარი მოქმედებების დაწყება საქართველოზე ნებისმიერ შემთხვევაში აისახება.

**— რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში ძირითადი მოთამაშეები შეთანხმდნენ და საქართველო ოკუპირებული ტერიტორიის გარეშე დარჩეს? ეს კითხვა სერბეთში განვითარებულ პროცესებს უკავშირდება. დასავლეთი და იგივე აშშ ბელგრადისგან სერბეთის ევროკავშირში დაჩქარებული წესით მიღების სანაცვლოდ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვს...**

— ამგვარი სცენარი ნაკლებად სავარაუდოა. ამ ტიპის პარალელებს ის ადამიანები ავლებენ, ვისაც ამ საკითხების აქტუალიზაციით თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევა სურს. სხვათა შორის, კოსოვოს დამოუკიდებლობა ევროკავშირის 5 ქვეყანას არა აქვს აღიარებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სერბებმა ალბანელები კოსოვოდან ძალის გამოყენებით განდევნეს. მხოლოდ სამხედრო ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი ალბანელების კოსოვოში დაბრუნება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა პირობითი და დროებითი სტატუსია. კოსოვოს დამოუკიდებლობის საბოლოოდ მისაღწევად უნდა გაეფორმებინა 59 ხელშეკრულება და უზრუნველეყო ქვეყანაში როგორც დემოკრატიული გარემოს, ისე ეთნიკური სერბების კოსოვოში დაბრუნებისათვის პირობების შექმნა. სერბების უმეტესობამ კი დატოვა კოსოვო, მაგრამ მათ იქ დაბრუნებისა და ცხოვრების უფლება უნდა ჰქონდეთ.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კოსოვოსთან შედარება იმის გამოა შეუძლებელი, რომ საქართველოს ამ ორივე რეგიონიდან სწორედ ეთნიკური ქართველები იქნენ განდევნილი. ვიმეორებ, აშშ-სა და დასავლეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება გამორიცხულია, შესაბამისად, ამ საკითხზე რუსეთსა და აშშ-ს შორის საქართველოს საზიანოდ კონსენსუსისა და რამე შეთანხმების მიღწევაც გამორიცხულია. არ გამოვრიცხავ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა იმ ტიპის ქვეყნებმა აღიარონ, როგორიც ტუვალუ, ნაურუ და ვანუატუა. ამ თვალსაზრისით, ვენესუელასა და ნიკარაგუას პოზიციები მაშინ შეიცვლება, როცა ამ ქვეყნებში ხელისუფლების ცვლილება მოხდება.

**— საქართველო შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობს. თქვენ როგორ შეაფასებდით საქართველოში არსებულ საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კანონმდებლობას? და კიდევ, პირადად თქვენ გაქვთ იმის მოლოდინი, რომ საქართველოში სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება?**

— რა თქმა უნდა, იმედი მაქვს. რაც შეეხება კანონმდებლობას, ძალიან მნიშვნელოვანია საარჩევნოდ თამაშის ერთიანი წესების არსებობა. ასე რომ არ იყოს, არჩევნებში დამარცხებულ ნებისმიერ ოპოზიციურ ძალას ექნებოდა იმის თქმის საშუალება, რომ საარჩევნო კანონმდებლობა ცუდი და არასრულყოფილი იყო. ამიტომ, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით პოლიტიკურ ძალებს შორის მინიმალური კონსენსუსი არსებობდეს.

დადებითად ვაფასებ ხელისუფლების მხრიდან ეუთოს გრძელვადიანი დამკვირებლების არჩევნებამდე 6-7 თვით ადრე მოწვევას. არ მახსენდება შემთხვევა, როცა რომელიმე ქვეყანას გრძელვადიანი დამკვირებლები ასე ადრე მოეწვიოს საარჩევნო პროცესზე დაკვირვებისათვის. ეს უდავოდ პოზიტიური ფაქტია. გრძელვადიანი დამკვირვებლები საარჩევნო საქმის ექსპერტებით იქნება დაკომპლექტებული. რა თქმა უნდა, ეუთოს გრძელვადიანი დამკვირვებლების საქართველოში ჩამოსვლა არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარების გარანტია არაა, მაგრამ იმის გარანტია ნამდვილადაა, რომ მთელი საარჩევნო პროცესი და, მათ შორის, საარჩევნო კანონმდებლობა სრულად იქნება შესწავლილი.

მე ოპტიმისტი ვარ და ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ქვეყანამ, რომელმაც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საკმარისზე ბევრი ცუდი რამ გადაიტანა, შემოდგომისთვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს ნორმალურად ჩაატარებს. ამის იმედს მაძლევს ის, რომ საქართველოში ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობს. ბუნებრივია, არის შეცდომებიც და ის ქვეყნები, რომლებსაც საქართველოსთვის მხოლოდ კარგი სურთ, ამ შეცდომებზე ღიად საუბრობენ.

**კობა ბენდელიანი**

◉ ევროკავშირი და საქართველო

# ობიექტური რეალობა თუ გამკაცრებული ტონი?!

***15 მაისს ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა ანგარიშის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში 2011 წლის განმავლობაში“ პრეზენტაცია გამართა. დოკუმენტში საუბარია როგორც ქვეყნის მიერ წლის განმავლობაში მიღწეულ შედეგებზე, ისე იმ ხარვეზებსა და პრობლემებზე, რომელიც ქვეყანას ინსტიტუციონალური, დემოკრატიის განვითარების, ადამიანების უფლებების, მაკროეკონომიკური ჩარჩოს და ქმედითი საბაზრო ეკონომიკის, დასაქმების და სოციალური პოლიტიკის და ზოგადად, ბიზნესგარემოს მიმართულებით გააჩნია.***

***„პირველმა“ გადაწყვიტა, ეკონომიკის კუთხით არსებული ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რაც ევროკავშირს საქართველოსთან მიმართებაში გააჩნია, მოკლედ მიმოეხილა.***

აღსანიშნავია, რომ როდესაც ხელისუფლება ამტკიცებს, რომ საქართველოს რუსული ემბარგოთი ბევრი არაფერი დააკლდა და მოსკოვს ზოგჯერ მადლობასაც კი უხდის, ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად მიცემული მოტივისთვის, ანგარიშში ნათქვამია, რომ „რუსეთის მიერ 2006 წელს დაწესებული სავაჭრო ემბარგო საქართველოს ექსპორტზე კვლავ უარყოფითად მოქმედებს“.

**„2010 წელს სიტუაციის წარმატებული შემობრუნების შემდეგ, 2011 წელს 6.8 %-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა, თუმცა მიმდინარე ანგარიშის დიდი და მზარდი დეფიციტის გამო, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მყიფეა. საქართველოს ექსპორტზე რუსეთის მიერ 2006 წელს დაწესებული ემბარგო კვლავ უარყოფითად მოქმედებს. მაღალი სავაჭრო დეფიციტი ნაწილობრივ ტურიზმიდან მზარდმა შემოსავლებმა და უცხოეთიდან ოჯახურმა გზავნილებმა შეავსო. ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდამ და სახელმწიფო დახმარებებმა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შევსებას ხელი შეუწყო“,** – ნათქვამია ანგარიშში.

ამასთან, დოკუმენტში ყურადღება საქართველოს საგარეო ვალდებულებებზეც არის გამახვილებული და აღნიშნულია, რომ 2011 წელს საგარეო ვალის მაჩვენებელი მაღალ ნიშნულზე დარჩა.

**„უახლოეს წლებში სახელმწიფო ვალის უკიდურესად მაღალ ნიშნულამდე მოსალოდნელი ზრდა შეშფოთებას იწვევს. 2013-2015 წლებში მნიშვნელოვანი ოდენობის საგარეო ვალის გადახდის ვალდებულების შესრულება უნდა დაიწყოს, რაც 2008 წელს აღებული 500 მილიონი აშშ დოლარი ევროობლიგაციების ანაზღაურებას გულისხმობს“,** – ნათქვამია ანგარიშში, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ საქართველო საკმაოდ განვითარებულია იმისთვის, რათა ქმედითი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა გახდეს.

ევროკავშირის ყურადღების ქვეშ მოხვდა ასევე ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში სიღარიბის შესახებ ზუსტი მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. ეკონომიკის გაჯანსაღების მიუხედავად, უმუშევრობის დონე რეგიონში ყველაზე მაღალია და 2010 წელთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა (2011 წელს- 16.5%, 2010 წელს – 16.3%)

რაც შეეხება ვაჭრობის საკითხებს, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ანგარიშის თანახმად, ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტის მაჩვენებლი უფრო დინამიკურია, ვიდრე – საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი.

პრობლემებთან ერთად ანგარიშში ის მიღწევებიც მოხვდა, რომელსაც საქართველომ გასულ წელს მიაღწია.

**„2011 წლის დეკემბერში ევროკავშირმა დაასკვნა, რომ საქართველოს მიერ მიღწეული წინსვლა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად საკმარისი იყო, თუმცა ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში განხორციელებული რეფორმები საბოლოო ეტაპიდან ჯერ კიდევ შორსაა და საქართველომ საექსპორტო ბაზა უნდა გააფართოოს და უცხოური ინვესტიციები მოიზიდოს“,** – ნათქვამია ევროკავშირის რეკომენდაციაში.

ამასთან, ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს საქართველომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან დიალოგში წინსვლას მიაღწია და ამ ორგანიზაციის ზოგიერთი რეკომენდაცია გაითვალისწინა, მათი ნაწილი ჯერ კიდევ შესასრულებელია. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა პროფკავშირების შესახებ კანონსა და შრომის კოდექსში.



ევროკავშირისთვის საქართველოში ქონებრივი უფლებების სრულად დაცვის საკითხიც მზარდ შეშფოთებას იწვევს.

**„ახლახან წარმოიშვა მნიშვნელოვანი რაოდენობის დავა, რომლებიც იმ მიწების ფლობის საკითხს უკავშირდება, ადგილობრივი მოსახლეობა ტრადიციულად რომ იყენებდა. ეს დავები მიწის კანონიერი მფლობელების არსებობამ თუ მისმა ბუნდოვანებამ გამოიწვია. საკითხს კიდევ უფრო ის ართულებს, რომ მოსახლეობასთან შეთანხმება ადგილობრივი განვითარების იმ გეგმების შესახებ, ადამიანების ცხოვრებაზე გავლენას რომ ახდენენ, სათანადოდ ინფორმირება არ ხდება“,** – ნათქვამია ანგარიშში.

ამასთან, დოკუმენტის თანახმად, კიდევ ერთი პრობლემა სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას გამოყენებულ გაუმჭვირვალე პროცედურებს უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშში ცალკე პუნქტად იყო გამოყოფილი ტრანსპორტის თემაც, თუმცა მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტზე იყო გამახვილებული.

**„ავიაციის სფეროში საქართველომ საგზაო რუკა უნდა განახორციელოს, რომელიც ავიაციის უსაფრთხოების ევროპულმა სააგენტომ დაადგინა. რაც შეეხება საზღვაო სფეროს, 2012 წლის იანვარში ძალაში შევიდა კანონი მეზღვაურთა განათლების და სერტიფიცირების შესახებ... ეს კანონი უნდა დაეხმაროს საქართველოს, დაიბრუნოს ევროკავშირის მიერ 2010 წლის მიწურულს გაუქმებული მეზღვაურთა სერტიფიკატების აღიარება. უსაფრთხოების პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, პორტებში დაკავებული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების რაოდენობა 2009 წლის 28%-თან შედარებით, 2011 წლის განმავლობაში 6%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დროშა ჯერ კიდევ პორტის სახელმწიფო კონტროლის შესახებ პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის შავ სიაშია შეტანილი, ის ამ სიის „მაღალი რისკის“ კატეგორიიდან ამოღებულია“,** – ნათქვამია ანგარიშში.

სამეზობლო პოლიტიკის ანგარიშში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საკითხიც მოხვდა. კერძოდ, ევროკავშირი მიიჩნევს, რომ საქართველომ სტატისტიკის სისტემის განვითარებას მეტი ძალისხმევა უნდა მოანდომოს და ამისთვის საკმარისი ფინანსური რესურსი გამოყოს. ასევე მოსახლეობის აღწერა უნდა ჩატარდეს და ასეთი დიდი მასშტაბის საქმიანობისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსი უნდა გამოიყოს.

აღსანიშნავია, რომ საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი ზაზა ჭელიძე ევროკავშირის რეკომენდაციების ნაწილს ეთანხმება, მაგრამ ზოგადად ანგარიშთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები აქვს და მას არ იზიარებს.

კერძოდ, ჭელიძისთვის გაუგებარია, საიდან მოიტანა ევროკავშირმა ციფრი 16.3%, რომელიც თითქოს გასულ წელს ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელს ასახავს.

**„ევროკავშირის ანგარიშის იმ ნაწილს, რომელიც უმუშევრობის დონეს ეხება, არ ვეთანხმები და ამასთან დაკავშირებით, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას უკვე შეტყობინებაც გავუგზავნე და პასუხს ველოდები. ანგარიშში მოცემული ციფრი – 16.5%, რომელიც 2010 წლის უმუშევრობის მაჩვენებლს ასახავს, ოფიციალურია, მაგრამ საიდან მოიტანეს 16.3%, ჩვენთვის გაუგებარია და ის ოფიციალური არ არის. ვინაიდან, საქსტატი უმუშევრობის წლიურ მაჩვენებელს 25 მაისს გამოაცხადებს და ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი მართლაც რომ 16.3% იყოს, ევროკავშირს მისი გამოქვეყნების უფლება არ ჰქონდა“,** – განმარტა ჭელიძემ.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე კი, ზაზა ჭელიძემ განაცხადა, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საკოორდინაციო კომისია მთავრობამ უკვე დაამტკიცა.

**„კომისიის პირველი სხდომა ივნისში გაიმართება, რომელზეც მოსახლეობის აღწერის ზუსტი თარიღი გამოცხადდება, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ აღწერა 2012 წელს არ ჩატარდება“,** – აღნიშნა ჭელიძემ.

რაც შეეხება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ 2011 წლის ანგარიშს და რეკომენდაციებს, ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, საქართველოს მიმართ ევროკავშირის ტონი გამკაცრებულია.

**„ევროკავშირის მიერ მომზადებული ანგარიში სერიოზული დოკუმენტია და ეს რეკომენდაციები აუცილებლად გასათვალისწინებელია. მასში ძალიან ბევრი პრინციპული საკითხი მწვავედ არის ხაზგასმული. ევროკავშირის ტონი კი აშკარად გამკაცრებულია. რეალურად, საქართველოში მიმდინარე პროცესები და რეფორმები განვითარების აზიურ მოდელებთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე – ევროპულთან. საქართველოს დეკლარირებული აქვს ევროპული ღირებულებები, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილებები მასთან წინააღმდეგობაში მოდის“,** – განუცხადა „პირველს“ ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძემ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ევროკავშირის შეშფოთებასაც იწვევს, საგარეო ვალდებულებების ზრდას ეხება.

ირაკლი ლექვინაძის აზრით, საქართველოს საგარეო მზარდი ვალდებულებები გრძელვადიან პერიოდში მაკროეკონომიკურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის და ეს ტენდენცია ევროკავშირისთვის სასურველი არ არის, რადგან ქვეყანა სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებშია.

ლექვინაძის მსგავსად, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში აღებული ვალდებულებების აუცილებლობასა და საჭიროებაზე საუბრობს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნინო ევგენიძე.

**„მართალია, გარკვეულ სფეროებში პროგრესი მეტ-ნაკლებად გვაქვს, მაგრამ ჩავარდნებიც ბევრია. არ ვიცი, ეს ვისი ნება შეიძლება, იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარდაუვალი აუცილებლობაა და თუ ჩვენი პრიორიტეტი რეალურად ევროკავშირში ინტეგრაციაა, მთავრობას ამ რეალობისთვის თვალის გასწორება მოუწევს“,** – აღნიშნა ევგენიძემ.

თავის მხრივ, მთავრობა მიიჩნევს, რომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის 2011 წლის ანგარიშსა და რეკომენდაციებში ახალი არაფერია...

**თელარა გელანტია**

◉ წინადადება

# როშვები კმარა, გროშები ჩქარა!..

**ბოლო დროს ჩვენში გახშირდა ეკონომიკური სანქციები და ფულადი ჯარიმები. სულ ახალ-ახალ, ნაირ-ნაირ ჯარიმას იგონებენ და აწესებენ და ეს სანქციებია თუ ჯარიმები, იქცა ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროდ. გამორჩეულად აქტიურობს, ამ მხრივ, კონტროლის პალატა თავისი მრისხანე ქალბატონით ნათია მოგელაძეთი (თუ მოგეძალეთი) – ფაქტობრივად, უახლესი დროის დოდო გუგეშაშვილით...**

საქართველო კაი ხანია სახელმწიფო დონეზე მშობლიური ქართულისადმი ყურადღების მიქცევა შეწყდა. გააუქმეს ენის პალატა, აღარ გვაქვს (თუ გვყავს) ენის ნორმების დამდგენ-დამცველი კომისია და ამგვარი უქონლობა-უყოლობის ფონზე ველარ ხერხდება ენის სიწმინდის შენახვა საჭირო რომაა, იმგვარ დონეზე.

სამაგიეროდ, დიდძალი ფული იხარჯება სხვა ენაზე, სხვა ენის პროპაგანდაზე – ინგლისურზეა ლაპარაკი (პირდაპირი და არაპირდაპირი მნიშვნელობით). მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ათასობით უცხოელი მეინგლისურე ჩამოიყვანეს „ენაბლუ და ენაბლაგვ“ ქართველთა განსანათლებლად და უკვე სხვა ენების „სპეციალისტთა“ მოწვევითაც იმუქრებიან. არა მგონია, ამდენი საზღვარგარეთელი „მოენე“ უფასოდ, უსასყიდლოდ, მოხალისედ ჩამოდიოდეს...

არიან ქვეყნები, სადაც ხალხი, საზოგადოება (და იმათი ზეწოლით, ხელისუფლებაც) თავად იცავენ მშობლიური ენის სიწმინდესა და ღირსებას და საკანონმდებლო დონეზეც და საზოგადოებრივ საწყისებზეც შექმნილია ან იქმნება ენის დაცვის საჯარიმო კომისიები. ჩვენც თუ დავადგებით ამ გზას, ჩვენც თუ მივმართავთ ამ ხერხს, სამკალი, გაგიხარიათ, დიდი გაგვიჩნდება: მინისტრებია თუ პარლამენტარებია თუ სხვა ხელისუფალნი თუ მთელი მრავალარხოვანი ტელევიზია – ისე მეტყველებენ, რომ საჯარიმო ფულები 12 მაისის წვიმასავით წამოვა; გაჩნდება, ბატონო, გარკვეული თანხა, რის მერეც შესაძლებელი გახდება ქართული ენის შეულახავობის დამცავი სტრუქტურების აღდგენა თუ შექმნა და „ენავ ჩემის, დედაო ენის, ჩვენი ნიჭის, სრბოლისა და ფრენის, ჩვენი სუნთქვის დიდი ალამის, ჭირთა ჩვენთა ტკბილი მალამოს“ დახმარება...

ჯარიმები, ჯარიმები, ჯარიმები, ჩქარა!.. როშვები, როშვები, როშვები კმარა – გროშები ჩქარა!..

**ბერდია ბედოიძე**

## ღია წერილი



# გულისტკივილი და აღშფოთება

### სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი-სი-აი“-ს გენერალურ დირექტორს ბ-ნ ნიკოლოზ გამყრელიძეს

ბატონო ნიკოლოზ,

უპირველეს ყოვლისა, მინდა გამოვთქვა ჩემი გულისტკივილი და აღშფოთება თქვენი და თქვენი კომპანიის დამოკიდებულებით ა.წ. 20 იანვარს ჩემი 51 წლის შვილის, მზია მიქელაძის ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით.

მზია იყო წარჩინებული ადამიანი, რომელიც დაუღალავად ემსახურებოდა თავის ქვეყანას და ხალხს. კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი, თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დირექტორის მოადგილე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მართვის სკოლებისა და ინსტიტუტების ასოციაციის პრეზიდენტი, მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი და სახელმწიფო მართვის პროფესორი. მისი დაღუპვა ტრაგიკულად აღიქვა როგორც ქართულმა, ასევე საერთაშორისო საზოგადოებრიობამ. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებისა და სკოლების საერთაშორისო ასოციაციის (NISPA cee-ისძ ინიციატივით სლოვენიაში ქართულ ენაზე გამოიცა ბროშურა „ეძღვნება მზია მიქელაძის ხსოვნას“, რომელშიც მოცემულია მისი მოკლე ბიოგრაფია, სახელმწიფო მმართველობის დარგში ევროპის და დანარჩენი მსოფლიოს მეცნიერთა სამძიმარი მზია მიქელაძის ოჯახის, მეგობრებისა და მთლიანად საქართველოს მიმართ. ბროშურაში ნათქვამია, რომ მზიას მოულოდნელი გარდაცვალებით მისმა ოჯახმა, საქართველომ, NISPA cee-მ და მთელმა საერთაშორისო საზოგადოებრობამ დაკარგეს არაჩვეულებრივი პიროვნება, ჩაუნაცვლებელი პროფესიონალი, რომელმაც თავისი სიცოცხლე მიუძღვნა იმას, რომ მსოფლიო უკეთესი გამხდარიყო. NISPA cee-ს მმართველი კომიტეტის გადაწყვეტილებით მზიას, გარდაცვალების შემდეგ გადაეცა „ალიონა ბრუნოვსკას სახელობის ჯილდო სახელმწიფო მმართველობის სფეროში საუკეთესო სწავლებისათვის“.


NISPAcee-ს მმართველმა კომიტეტმა გადაწყვიტა გადასცეს მზიას მისი ყველა მიღწევისათვის:

“ალიონა ბრუნოვსკას ჯილდო სახელმწიფო მმართველობის სფეროში საუკეთესო სწავლებისათვის”

ეძღვნება მზია მიქელაძის ხსოვნას,

NISPAcee-ს მე-20 ყოველწლიური ყოველწლიური კონფერენცია, ოჰრიდი, მაკედონიის ფედერალური რესპუბლიკა, ოთხშაბათი, 23 მაისი, 2012 წელი, 16:00 – 17:00 სთ.



ჯილდო გადაეცემა მზიას ძმას, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მექსიკაში, ბატონ მალხაზ მიქელაძეს დაჯილდოვების ცერემონიაზე NISPAcee-ს პრეზიდენტის - გიორგი ჯენეის და NISPAcee-ს აღმასრულებელი დირექტორის – ლიუდმილა გაიდოსოვას მიერ.

ბატონო ნიკოლოზ, ჩემი შვილის გარდაცვალებას მრავალი ადამიანი აღიქვამს როგორც აუნაზღაურებელ დანაკარგს. ამ ტრაგედიამ არავინ დატოვა გულგრილი – არავინ, გარდა თქვენი კომპანიის თანამშრომლებისა.

თქვენთან მზიას მრავალწლიანი თანამშრომლობის მიუხედავად, „ალდაგმა“ სრული იგნორირება გაუკეთა მისი ოჯახის არაერთგზის სამართლიან მოთხოვნას დაზღვევის ანაზღაურებაზე. უარყოფით პასუხთან ერთად, თქვენ ცინიკურად შემოგვთავაზეთ – „გთხოვთ გაგებით მოეკიდოთ ჩვენს დასაბუთებულ პოზიციას“ (?!ძ. ჩვენი ოჯახის მაგალითზე ვრწმუნდები, რომ თქვენი კომპანიის მიერ დაზღვეულ ადამიანებს ნაკლებად უნდა ჰქონდეთ ჰუმანურობის იმედი. სწორედ მსგავსი დამოკიდებულების გამო იძულებული ვარ მოგმართოთ ღია წერილით და მოვითხოვო სამართლიანობის აღდგენა ჩემი ოჯახისთვის ამ მეტად მგრძნობიარე პრობლემაში.

ვფიქრობ, თქვენთვის ნაწილობრივ მაინც ცნობილია, თუ რა ვითარებაში დაიღუპა ჩემი ქალიშვილი მზია მიქელაძე პლეხანოვის გამზირიდან გმირთა მოედნამდე ტაქსით გადაადგილების დროს. თქვენთვის ცნობილია, აგრეთვე, რომ გმირთა მოედანზე მზიას დასახმარებლად მისული „სასწრაფო დახმარების“ უფროსმა ექიმმა კერესელიძემ, იცოდა რა მზიას გულის მწვავედ ტკივილის ამბავი, სამედიცინო ბარათში მაინც ჩაწერა პასუხგაუცემელი წინადადება „სიკვდილის სხვა დაუზუსტებული და არაზუსტად განსაზღვრული მიზეზი“, რის საფუძველზეც თქვენი კომპანიის ექსპერტებმა ელემენტარული მოკვლევის გარეშე „მოხერხებულად“ დაადგინეს: „როდესაც გარდაცვალების მიზეზები უცნობია“... და თქვენ მზიას ღრმად მოხუცებულ მამას უარი უთხარით მისი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

ძალზე დასანანია, რომ თქვენ ან/და თქვენი კომპანიის წარმომადგენლებმა საჭიროდ არ ჩათვალეთ მზიას ტრაგიკულად დაღუპვის გარემოებათა დეტალური შესწავლა და იმ მიზეზების დადგენა, რომლებმაც გამოიწვია მზიას დაღუპვა. როგორც ეტყობა, ეს თქვენთვის „ხელსაყრელი“ იყო. გარემოებათა შესწავლის სანაცვლოდ, კომპანიის წარმომადგენლებმა (სიტყვიერად) შემოგვთავაზეს მზიას სხეულის ექსჰუმაცია ვითომ და სიკვდილის მიზეზების დადგენის მიზნით

ასევე დასანანია, რომ თქვენ აღარ ჩათვალეთ საჭიროდ გაგეცათ პასუხი ჩემს უკანასკნელ ანალოგიურ განცხადებაზე, რომელიც შემოვიტანე კომპანია „ალდაგის“ ოფისში ა.წ. 18 აპრილს – რატომღაც ფიქრობთ, რომ საკითხი ამოწურულია.

აქვე განვმარტავ, რომ ამ წერილის მიზანს არ წარმოადგენს თქვენთან სამედიცინო თუ ლეგალურ დისკუსიაში შემოსვლა – ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ისევე, როგორც მზიას კოლეგებისა და მეგობრებისთვის, სავსებით ნათელია თქვენი კომპანიის მცდელობა ნებისმიერი სახით თავი აარიდოს მზიას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას, რაც ბუნებრივად ეჭვქვეშ აყენებს თქვენს კომპანიასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას.

ამ მომართვის შედეგად, მინდა მოგიწოდოთ გამოიჩინოთ ელემენტარული ადამიანური გულისხმიერება და შეწყვიტოთ უსამართლო მოქმედება მზია მიქელაძის და მისი ოჯახის მიმართ. ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, აღიაროთ, რომ მზიას დაემართა უბედური შემთხვევა, გამოწვეული გულის მწვავედ ტკივილის დროს თქვენივე ტერმინოლოგიით ე.წ. „გარე ძალებით“ (შიშით, ემოციური აღგზნებით, მანქანის სიჩქარით, მანქანის რხევით, ნჯღრევით, ჰაერის უკმარისობითძ, რომლებიც მზიას ორგანიზმზე განუწყვეტლივ მოქმედებდნენ პლეხანოვის გამზირიდან გმირთა მოედნამდე გადაადგილების დროს.

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმული ნათლად ასახავს ამ ტრაგიკული შემთხვევის რეალურ ვითარებას და საბედისწერო გარემოებათა თანხვედრას, რის გამოც მიმაჩნია, რომ კომპანია „ალდაგი“ ვალდებულია დათანხმდეს მზიას სადაზღვევო ანაზღაურების დაუყოვნებლივ გაცემაზე.

იმედს ვიტოვებ, ახლა მაინც მიიღებთ სამართლიან და ჰუმანურ გადაწყვეტილებას ტრაგიკულად დაღუპული მზია მიქელაძის და მისი ოჯახის მიმართ

**ალექსი მიქელაძე,**
პროფესორი

## უბედური საქართველო

# თურქული საროსკიპო გონიოს ციხესთან

### ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე თურქებმა მღვდელი არ შეუშვეს

**ბათუმში თურქული ექსპანსია გაცხოველებით მიმდინარეობს. არის უბნები, სადაც თურქები მართლმადიდებლებს არ უშვებენ და ჯვრის ტარების უფლებას არ აძლევენ. ჟურნალისტი ლალი მოროშკინა ერთ-ერთ ასეთ ფაქტს ახმაურებს, რომელიც ბათუმის ერთ-ერთ უბანში მოხდა. ამ უბანში ქართველი სასულიერო პირი შესვლას აპირებდა, როცა თურქებმა შეამჩნიეს, არ შეუშვეს და ჯვრის დამალვა მოსთხოვეს.**

ლალი მოროშკინა, რომელიც ლექციებს ბათუმის უნივერსიტეტში კითხულობს, თურქული ექსპანსიის შესახებ Presage.tv-სთან ღიად საუბრობს. მისთვის გასაკვირი არ იქნებოდა, თურქები ტურისტული მიზნით რომ ჩამოსულიყვნენ აჭარაში, მაგრამ ბათუმის თურქიზაცია ჟურნალისტისთვის დაუშვებელია. მისი თქმით, ბათუმში უკვე აღარ ისმის ქართული სიმღერები. სანაცვლოდ კი თურქულ სიმღერებს ხშირად გაიგონებთ. ასეთივე ვითარებაა ბათუმის ყინულის სასახლეში, რომელსაც ქართულის ნაცვლად, თურქული ჰანგები მოეფინება. არადა, ეს ის ყინულის სასახლეა, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მიერ ზარ-ზეიმით გაიხსნა და, როგორც სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ არსებულ დაწესებულებაში, იმ ენაზე უნდა ისმოდეს სიმღერები, რომელი ენაც საქართველოში ოფიციალურად სახელმწიფო ენად ითვლება.

უკვე აღარავის უკვირს, რომ ბათუმის ქუჩებს „ამშვენებს“ თურქული, არაბული, ირანული არაფრისმთქმელი სახელები, რაც ადგილობრივებში გაუგებრობას და გაღიზიანებას იწვევს. იქაურებმა არ იციან, საიდან მოდის ვინმე ნაჰაინ მუბარაქ ალ ნაჰაიანის, ნურონის, ლაო ჯინ ჯაოს ქუჩების დასახელება. ასევე, ხშირია აჭარაში უცნობი შეიხების სახელების ქუჩის ტოპონიმებად გამოყენება, რომლებმაც თურმე ვარდების რევოლუციის შემდეგ ინვესტიცია ჩადეს საქართველოში.

ლალი მოროშკინას თქმით, ამ დღეებში აჭარიდან თბილისში სპეციალური დელეგაცია ჩამოვიდა. ეს ადამიანები გამწარებული არიან, რადგან ბათუმი კარგავს თავის სახეს. იმის მიუხედავად, რომ ლამაზი სახლები დაიდგა და გარემონტდა, რეალურად ეს არის მუსლიმანური ქალაქი. თუმცა აჭარლები ამ ყველაფერზე ღიად არ საუბრობენ, რადგან პატარ-პატარა ბიზნესები აქვთ, რითიც ისინი სეზონურად თავს ირჩენენ და, რა თქმა უნდა, გარკვეულ მიზეზთა გამო, ხმას არ იღებენ.

**„ჩვენ ვიცით, ეს რა მიზეზებიცაა, მომენტალურად ან სასტუმროს დაუწვავენ, ან რესტორანს აუფეთქებენ, ან არაფრის გულისთვის დაიჭერენ და ეს ჩვეულებრივი ამბავი გახდა საქართველოში; პირადად მე რეალობის შეულამაზებელ გადმოცემას შევეცადე, რითიც გამოვხატე ძალიან ბევრი ბათუმელის და არა მარტო ბათუმელის სატკივარი; ეს ყველაფერი მთლიანად აჭარას ეხება“...**

ლალი მოროშკინას აზრით, ბათუმის გათურქება მარტივად შეიძლება დადასტურდეს. ამისთვის ჟურნალისტებისგან მონიტორინგის ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს, რომლებიც ჩავლენ და ნახავენ, რა ხდება დღეს ბათუმში, რა ხდება სანაპირო ზოლზე.



**„ჩვენ უნდა განვასხვავოთ ტურიზმი და ის ფაქტი, რომ მოქალაქეობას პანტაპუნტით ვაძლევთ თურქებს, რომლებმაც სრულიად წალეკეს იქაურობა. აი, ეს არის საშიში პროცესი. თორემ, თურქი რომ ჩამოდიოდეს როგორც ტურისტი, ამაში საშიში არაფერი იქნებოდა. აჭარა დაიყო ზონებად, ბათუმი არის თურქების ხელში, ქობულეთი არის სომხების ხელში. ძალიან ბევრმა სომეხმა იყიდა უკვე მიწა და მოქალაქეობას იღებენ ძალიან მარტივად. ასევე, ძალიან ბევრმა თურქმა იყიდა ტერიტორიები, ქუჩები აქვთ ნაყიდი. ალბათ, იცით, რომ თურქი სადაც შემოდის, თავისი ინფრასტრუქტურით მოდის. ეს არის თავისი მაღაზიები, სალონები და, როგორც წესი და აუცილებლობა, - საროსკიპოები. ერთ-ერთი ყველაზე დიდი საროსკიპო გონიოს ციხესთან არის გახსნილი და ამის შესახებ ყველამ იცის. საღამოობით ვინც გაივლის, ნახავს, იქ რაც ხდება. ეს არის მთელი ჩვენი ქვეყნის შეურაცხყოფა. ქართველი ასე არასდროს იქცევა არც ერთ ქვეყანაში და ამის უფლებას არც არავინ მოგცემს. ეს თურქების მიერ გახსნილი საროსკიპოებია და მომუშავე პერსონალად ჩვენებიც მრავლად არიან!. თურქების მხრიდან ბათუმის გამიზნული ექსპანსია მიმდინარეობს“,** – აცხადებს ლალი მოროშკინა.

ამის მიუხედავად, ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ თურქები აქ არაფერ შუაში არიან და ეს სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგია. თურქები კი ცდილობენ, მიიღონ ის, რაც ძალიან ადვილად ხელმისაწვდომია მათთვის. მოროშკინასთვის გასაგებია, რომ თურქები ვერ იტყვიან უარს ისეთ მშვენიერ მხარეზე, როგორიც აჭარაა.

**„რეალურად დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ. ყოველკვირეული შეხება მაქვს იქაურ სტუდენტებთან და ძალიან გამწარებულები არიან. გარკვეულ ჯგუფს პრეზიდენტთან შეხვედრაც უნდოდა, რომელიც ხშირად ჩადის ბათუმში, მაგრამ ამის საშუალება არ ეძლევათ. ეს არის ტყუილი, რომ პრეზიდენტი სტუდენტებს ხვდება. მას მუდმივად ის ადამიანები ხვდებიან, რომლებიც სპეციალურად არიან შერჩეულები, რომ ვინმეს რამე არ წამოსცდეს... რაზეა საუბარი, როცა მღვდელიც არ გაატარეს ქუჩაზე. რა თქმა უნდა, ანაფორით იყო მღვდელი და ჯვრით, თურქებმა კი მიუთითეს და უთხრეს, რომ, თუ ამ ქუჩაზე გავლა მოუნდება, ყველა ამ ატრიბუტიკის გარეშე შევიდეს. ერთ-ერთი ასეთი ექსტრემისტული ქუჩა გახდა ქუთაისის ქუჩა ძველ ბათუმში და ეს ქუჩა ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია“.**

ლალი მოროშკინას აზრით, მთელ აჭარაში იგივე ხდება, რაც – თბილისში. კერძოდ, ჟურნალისტისთვის უკვე გასაგებია, თუ ვის გაურემონტა ყოფილი პლეხანოვის ქუჩა სააკაშვილმა.

**„ვისაც გაურემონტა ის პლეხანოვი, ალბათ, კარგად ხედავთ. იქ მთლიანად თურქულია ყველაფერი“,** – აცხადებს ლალი მოროშკინა.

**მარიამ ლოლაშვილი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო მიშას გარეშე

**2008 წელს, პარლამენტის არჩევნებისას, ამ სტატიის ავტორი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მრჩეველი იყო, ამ ბოლო დროს კი ის საქართველოს ოპოზიციის ლიდერებს, ირაკლი ალასანიასა და ბიძინა ივანიშვილს უწევდა კონსულტირებას.**

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ, „მიშა“ სააკაშვილი, რომელსაც თანამდებობის დატოვების ვადა უახლოვდება, მომხიბვლელი ადამიანია. ყველა, ვინც მას შეხვედრია, ამ აზრს დაეთანხმება. ისინი, ვინც საქართველოს აკვირდება, ქვეყანას, რომელმაც ყურადღება იმით მიიქცია, რომ გაზისა და ნავთობსადენების გამტარია, კიდევ იმით, რომ რუსეთთან დაპირისპირების მზაობა აქვს და რეგიონში დემოკრატიასთან ყველაზე მეტად მიახლოებული ქვეყნის სტატუსი მოიპოვა, ალბათ იმ დასკვნამდეც მივა, რომ მისმა არაორდინარულმა ინდივიდუალობამ გადაფარა მისივე მთავრობის რეფორმების შედეგები. ამიტომაა, რომ ნატოს ჩიკაგოს სამიტზე, რომელიც მომავალ კვირას გაიმართება და ყველგან, სხვაგან აშშ-ში, სადაც ის გაჩერდება, სააკაშვილი იძულებული იქნება, თავი აარიდოს იმპროვიზებულ კომენტარს.

მაგრამ საქართველოშიც, რუსეთშიც, აშშ-ში და საერთოდ ყველგან, სწორედ მიშას ეს გადამდები ნატურა, პოზიტიური თუ ნეგატიური, განსაზღვრავს დისკუსიას, რომელიც ამ კავკასიური ქვეყნის გარშემო მიმდინარეობს. იმის გამო, რომ მასთანაც მიმუშავია და მის წინააღმდეგაც, ერთ დასკვნამდე მივედი — შესაძლოა, ყველაზე მთავარი ძღვენი საქართველოსთვის მიშას ჯერ არ მიურთმევია. თუ ის გვერდზე გადგება და თავის ავტორიტარულ სისტემას შეასუსტებს, ისტორია და საკუთარი ხალხი მას სხვა თვალით შეხედავს. ის უნდა წავიდეს და გარედან უნდა დააკვირდეს იმას, თუ როგორ ვითარდება ქვეყანა უიმისოდ.

რამდენიმე თვის წინათ მე უცხოელ ჟურნალისტებს საქართველოში მოგზაურობისას გიდობას ვუწევდი და სადილობისას ადგილობრივ პოლიტიკაზე ჩემს შეულამაზებელ მოსაზრებებს ვუზიარებდი. ერთხელ შევნიშნე, რომ ერთი რეპორტიორი გაგებით და ღიმილით შემომყურებდა. მე გაოცებული მზერით ვუპასუხე. „თქვენ ძველებურად ხართ შეყვარებული მიშაზე, არა?“ — გამოთქვა ვარაუდი მან. კითხვა ძალიან არ მესიამოვნა, მით უფრო, იმიტომ, რომ მე იმ დროს ოპოზიციას წარმოვადგენდი და სააკაშვილის ოპონენტთან, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად ვემზადებოდი. და მერე, საქართველოში ჩემი ბოლოდროინდელი საქმიანობისას ეს განცდა აღარ მტოვებდა — იყო ამ ბრალდებაში სიმართლის მარცვალი. რუსეთის 2008 წლის ინტერვენციის შემდეგ, საქართველომ 4 მილიარდი დოლარი მიიღო უცხოური დახმარების სახით. ეს ფაქტი იყო ცხადი დასტური იმისა, რომ მიუხედავად მისი უამრავი შეცდომისა, დასავლეთის სიმპათია მიშასადმი არ შენელებულა. მართლაც, ერთ დროს სააკაშვილი თანამედროვე საქართველოს საიმიჯო ხატ-სურათის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა, მაგრამ თუ გაისად ის ძალაუფლებას ჩაეჭიდება, მისი მემკვიდრეობა ნამდვილად მხოლოდ ნეგატიურ ტერმინებში გაიზომება.

დიდი ხანია საქართველოს პოლიტიკას ვნებები მართავს. ქვეყნის პირველი პოსტსაბჭოთა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ამ ინსტინქტმა 1992-1993 წლის კატასტროფულ სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. შემდეგ მისი ხელისუფლება დაამხეს და ის უფრო თავდაჭერილმა ედუარდ შევარდნაძემ შეცვალა (მოგვიანებით გამსახურდიამ თავი მოიკლა). როდესაც შევარდნაძის მმართველობა, რომელმაც ათწლეულზე დიდხანს გასტანა, კორუფციასა



და არაეფექტურობაში ჩაეფლო, მიშა იქცა ცვლილების ხატ-სურათად 2003 წლის „ვარდების რევოლუციისათვის“: პარლამენტზე შტურმის მისატანად ის მხარდამჭერებს მარტოოდენ ვარდით ხელში გაუძღვა. სავსებით მისაღები სიმბოლიზმია. რუსეთის პოპვარსკვლავის ალა პუგაჩოვას ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ბალადაში, „მილიონი ვარდი“, ქართველი მხატვრის ამბავია მოთხრობილი — მან თავისი ყველაზე მთავარი ნამუშევარი მილიონ ვარდში გაცვალა იმისთვის, რომ ფრანგი ქალის გული მოეგო (ორმაგად ტრაგიკული ისტორიაა, თუ იმას გავითვალისწინებთ, როგორი მომხიბვლელები არიან ქართველი ქალები). მაგრამ მისი ხელისუფლებაში მოსვლიდან ორი ვადა გავიდა და ხშირად ისე ჩანს, რომ მიშამ თავისი ვარდი რკინის ხელზე გაცვალა და მისი მომხიბვლელობა ბევრისთვის გაცვდა.

სწორედ ვნება იწვევს წუხილს საქართველოს დასავლელ მეგობრებშიც. შარშან ამ პოლიტიკურ აყალმაყალში ივანიშვილმა შემოაბიჯა და დიპლომატიური კორპუსი თავის ულტრა-თანამედროვე, თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მთაზე წამოჭიმულ სასახლეში მიიპატიჟა. იქ დამსწრეთაგან უმეტესობას ივანიშვილი მანამდე არ უნახავს და პირველი კითხვა, რომელიც ივანიშვილს აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა დაუსვა ასე ჟღერდა — ხომ არ აპირებს ივანიშვილი პოლიტიკური ტემპერატურის აალებას. ბასის პოზიცია სრულიად გასაგები იყო: ამ მომენტამდე სააკაშვილის ოპოზიცია მხოლოდ ქუჩის პროტესტანტებისგან შედგებოდა, რომლებიც გაიძახოდნენ — „წადი, მიშა, წადი“. მიშას ფენომენალურად მაღალი პირადი რეიტინგები კი საპირისპიროს აჩვენებს. მიშას პოპულარობა ჯერ არ დაცემულა ისე, როგორც მისი მოსისხლე მტრის, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პოპულარობა დაეცა რუსეთში და ოპოზიცია უფრო ბრძნულად მოიქცეოდა, თუ ამ ფაქტორს გაითვალისწინებდა.

ისინი, ვინც ფიქრობს, რომ პოლიტიკა ამერიკაში ძალიან პოლარიზებული გახდა, არასდროს ყოფილან საქართველოში. აქ კამპანიის მოგება ან წაგება არ არის საკმარისი: „დამარცხებული“ საბოლოოდ უნდა განადგურდეს, ხოლო „გამარჯვებული“ ყოველთვის თაღლითია. როდესაც ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე იმედისმომცემმა ფიგურამ — ირაკლი ალასანიამ 2010 წელს თბილისის მერის არჩევნები წააგო, მან უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და თავის ოპონენტს გამარჯვება მიულოცა. ამ ნაბიჯმა მე და კიდევ რამდენიმე გარეშე პირი თავისი მაღალი კლასით გაგვაოცა, არადა ოპოზიციის ბირთვმა ეს ნაბიჯი ღალატს გაუტოლა. რეალობის მუდმივ უარყოფას, რითაც ორივე მხარე ანეზივრებს საკუთარ თავს, არც ქვეყნისთვის მოაქვს სიკეთე და არც მისი მოქალაქეებისთვის. რეალურად კი მოვიდა დრო, რომ საქართველომ ქნას ის, რითაც წლებია თავს იწონებს: თავისი მაგალითით ასწავლოს მეზობლებს ის, თუ რას ნიშნავს დემოკრატია, სამართლიანი კონკურენცია და მშვიდობიანი განგრძობითობა.

იმისთვის, რომ ეს მოხდეს, ოპოზიციამ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი პოლიტიკის დეპერსონალიზაციისაკენ. ივანიშვილს უფრო სქელი კანი სჭირდება, როდესაც საქმე პირად თავდასხმებზე მიდგება. სხვა თუ არაფერი, მან ნებაყოფლობით შეაბიჯა ამ ხშირად უსიამოვნო თამაშში. მიშას მიერ ჩადენილი, რეალური და წარმოსახვითი უკანონო ქმედებების გრძელი სიის ჩამოთვლა, მხოლოდ თავს შეაწყენს ამომრჩევლებს, რომელთაც ის უფრო აღელვებთ, თუ რა მარაგები აქვთ სამზარეულოებში. ყურადღებითაა შესასწავლი ის, თუ რას აცხადებდა არსებული მთავრობა თავისი მმართველობის ორი ვადის პერიოდში, იყო ეს „საქართველო სიღარიბის გარეშე“, რის დაპირებასაც მიშა იძლეოდა ოთხი წლის წინათ, თუ კორუფციის დამარცხება, რაც, თუ „ეკონომისტის“ სარეკლამო განცხადებებით ვიმსჯელებთ, მოხდა კიდეც. ოპოზიციას შეუძლია, ისწავლოს ზოგიერთი რამ იმ კაცისგან, რომლის შეცვლასაც ცდილობს: მან უნდა ყურადღებით უსმინოს ხალხს და არა მხოლოდ ქალაქურ ელიტას, მან უნდა შექმნას ის რეალისტური პროექტები, რომლებიც ხალხის პრობლემებს გადაწყვეტს. ქართველებს, ალბათ, მიაჩნიათ, რომ სააკაშვილმა უნდა აღუდგინოს ივანიშვილს მოქალაქეობა, რომელიც უსაფუძვლოდ ჩამოერთვა მას მერე, რაც გასულ ოქტომბერს პოლიტიკაში მოვიდა, მაგრამ ისინი ამის გამო ბარიკადებზე არ გავლენ, ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ.

მიშას, რომელსაც ახლა ყველა კოზირი აქვს ხელთ, ბევრი შეუძლია გააკეთოს იმისთვის, რომ მართლაც მოიპოვოს ადგილი ისტორიაში, რაც მას დღეს ასე სწყურია. „გაიმეორებს პუტინს“? ეკითხებიან ერთმანეთს შფოთიანად რეგიონის ექსპერტები, პრემიერ-მინისტრობას დაიბევებს მას შემდეგ, რაც მისი მეორე საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება? შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების შედეგები მართლა გახდება მისი სულ უფრო მზარდი ავტორიტარიზმის გადამოწმების საშუალება. იმისთვის, რომ ისეთი დიდი ფიგურა იყოს, როგორადაც ის ოდესღაც მიაჩნდათ და იმისთვის, რომ თავის მემკვიდრეობას უკეთესი სამსახური გაუწიოს, მიშამ უნდა შეწყვიტოს თავის ხელთ არსებული კოზირების გამოყენება ოქტომბრის არჩევნებამდეც კი. „მასკის“ პროგრამის პირველ კურსდამთავრებულს, რომელსაც თავსი ქვეყნის მართვა ხვდა წილად, სააკაშვილს შეუძლია მეტი გააკეთოს იმისთვის, რომ თავის წარსულ და ამჟამინდელ სპონსორებზე შთაბეჭდილება მოახდინოს და მომავალი ხუთი თვის განმავლობაში ცოტაოდენი კეთილშობილება გამოიჩინოს: შეარბილოს ზემოქმედება მედიაზე, თავისი ოპონენტების ცალმხრივი დევნა და იღონოს ყველაფერი იმისთვის, რომ გაათანაბროს სათამაშო ველი. ყველაფერს ამას აუცილებლად შეამჩნევენ.

ჩიკაგოს სამიტზე საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით, ალბათ, კონკრეტული დაპირებები არ გაიცემა. მისი შედეგები საქართველოსთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არ არის. საქართველოს ნატოში გაწევრების უნარი უკავშირდება იმას, თუ რამდენად შეუძლია გასცდეს ის პიროვნებებზე მიჯაჭვულ პოლიტიკას, ხოლო დემოკრატიული მმართველობა ნატოს ქარტიის უპირველესი და ცენტრალური წინაპირობაა. დიპლომატებს მიშას რელაქსაცია იმისთვის სურთ, რომ სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი ომი აიცილონ თავიდან. მე კი მისი შერბილება ამ ქვეყნის ხათრით მინდა, ქვეყნისა, რომელიც მართლაც იმსახურებს დასავლეთის სიყვარულს. საქართველოს შეუძლია, მეტს მიაღწიოს, მაგრამ თუ ეს ასე მოხდება, მაშინ ყველაფერი მიშას გარშემო აღარ იტრიალებს.

**სემ პატენი**

Foreign Policy

## დედამიწის ზურგზე



**თვითმკვლელმა იემენში სამხედრო აღლუმის რეპეტიცია ჩაშალა: დაიღუპა 50 სამხედრო**

ტერორისტული აქტის შემსრულებელი სამხედრო ფორმით იყო და იმყოფებოდა სამხედრო მოსამსახურეთა შორის, რომლებიც ემზადებოდნენ იემენის გაერთიანების 22 წლისადმი მიძღვნილი აღლუმისთვის. ჯერჯერობით აფეთქებისთვის პასუხისმგებლობა არავის უკისრია, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება არ გამორიცხავს, რომ ტერაქტის უკან იდგეს „ალ-ქაიდა“.

* * *

**სირიაში ერთი დღე-ღამის განმავლობაში 60-ზე მეტი კაცი დაიღუპა, ამტკიცებენ სამართალდამცველები**



სულ ცოტა 34 კაცი დაიღუპა მთავრობის ჯარების მიერ სოფელ სურანის მიმართულებით გახსნილი ცეცხლის შედეგად. ეს მონაცემები მოჰყავს ლონდონში ბაზირებულ ადამიანის უფლებათა დაცვის სირიის მონიტორინგის ცენტრს, რომელსაც, ზოგიერთის ეჭვით, მჭიდრო ურთიერთობა აქვს ნატოსთან.

* * *

**ამერიკული გამანადგურებლის „სტელსის“ პრობლემების ფონზე ჩინეთმა გამოსცადა საეჭვოდ მსგავსი თვითმფრინავი**



ჩინური ჯი-20-ის „ძლიერი ურჩხულის“ მეორე ეგზემპლარი გასულ კვირას გამოსცადეს ქალაქ ჩენდუს სამხრეთ-დასავლეთში ფრენის დროს. როგორც მიაჩნიათ, ის კონკურენციას გაუწევს ამერიკულ ფ-22 „რაპტოპს“, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ შეუზღუდეს ექსპლოატაცია საშიში დეფექტების გამო. დასავლეთში ეჭვი აქვთ, რომ ჩინელები სამხედრო ტექნოლოგიებს ჰპარავენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს.

* * *

**აზიამ, ამერიკის დასავლეთმა და რუსეთის შორეულმა აღმოსავლეთმა ცაში დაინახეს ცეცხლის რგოლი — იშვიათი მზის დაბნელება**

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის და ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთის შტატების ზოგიერთმა მცხოვრებმა იმავე დროს შენიშნა შეუცნობელი მფრინავი ობიექტი. სპეციალისტები ინფორმაციას კოსმოსიდან მოსულების შესახებ კომენტარს არ უკეთებენ, სამაგიეროდ აღნიშნავენ, რომ რუსეთელები შორეულ აღმოსავლეთში აღმოჩნდნენ წარმატებულები — ამგვარი დაბნელება იქ არ უნახავთ უკვე 15 წელიწადია.



◉ სიცოცხლემისჯილი



# სოფიკო

**გუშინ სოფიკოს დაბადების დღე იყო — 75 წლისა გახდებოდა სოფიკო ჭიაურელი — უნიჭიერესი, ჭეშმარიტად სახალხო მსახიობი...**

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“... ასე ეწადა არსთაგამრიგეს — ნაადრევად წაიყვანა სოფიკო თავის გენიალურ დედ-მამასთან...

კარგი საქმე გაუკეთებია საქართველოს ეროვნულ არქივს — სოფიკო ჭიაურელის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით ამოუკრებია უამრავი ფოტომასალა — ცხოვრებისეული, კინოკადრები თუ სცენები სპექტაკლებიდან, ზოგიც დღემდე სრულიად უცნობი, და თავის საგამოფენო დარბაზში კედლებზე განუთავსებია დიდი გემოვნებით...

ნიკუშა შენგელაია — ვაჟიშვილი სოფიკოსი — მადლობას უხდის ყველას, ვინც ეს საქმე ითავა, ვინც ამ საქმისთვის გაისარჯა.

...აი, გამოცოცხლებული სოფიკო...

სხვებთან ერთად ვათვალიერებ, სხვებთან ერთად მიმოვდივარ დარბაზში, შევცქერი ფოტოსურათებს და გონებაში ცოცხლდება ის წლები და ის დღეები, რაც მე, როგორც ჟურნალისტს ვერაზე, „ფიქრის გორაზე“, ჭიაურელების დიდ ოჯახთან მაკავშირებდა. მადლობა ღმერთს, ვსაუბრობდი ბატონ მიხეილ ჭიაურელთან, ქალბატონ ვერიკოსთან, სოფიკოსთან...

აი, ერთად არიან ისინი ფოტოზე.

**მესაუბრებოდა:**

— ო, რას მანებივრებდა (მამაზე ამბობდა)... გიჟდებოდა ჩემთვის!.. სცენაზე რომ მიყურებდა, ცრემლები სდიოდა... გადაღების დროს ხანდახან ვეტყოდი, — მამა, იქნებ რაიმე არ გამომდის, ნუ დამიმალავ...

— არა შვილო, არა, გენიალურია ! — მაქებდა განუზომლად.

დედა პირიქით იყო: სულ მეგონა, რომ არ მოსწონდა ჩემი თამაში. არასდროს არ შევუქივარ, თუმცა, ერთხელ „გაიყიდა“: სტუმრებთან, სადღეგრძელოში, ასეთი რამ თქვა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სოფიკო ჩემზე ძლიერიაო...

აი, ფოტო ჭიაურელების ეზოში გადაღებული, სოფიკოს საშინაოდ აცვია და რაღაცას საქმიანობს...

**მესაუბრებოდა:**

— დილიდან უკვე სარე ვარ — ჩემი გმირი ქურთი მეეზოვე სპექტაკლიდან „ეზოში ავი ძაღლია“... ვგვი და ვასუფთავებ ეზოს, კაცი არაა დამხმარე... სახლში კიდე სტუმარი არ ილევა... ღმერთმა ნურც დამილიოს... აბა, ბაზარიო, აბა, სამზარეულოო... ერთხელ ქუთაისში მოვიდა ჟურნალისტი გოგონა, მიყურებს, როგორც ღვთაებას, თქვენი დილა რითი იწყება, ქალბატონო სოფიკოო? — მაძლევს კითხვას.

სრულიად სერიოზულად ვუპასუხე: — ჩემი დილა, ჩემო კარგი, იწყება რძის აბაზანით, მერე მანიკურსა და პედიკურს მიკეთებენ, თმას მიხვევენ და მანქანით მიმაბრძანებენ თეატრში-მეთქი. იწერს ეს გოგონა ყველაფერს სერიოზულად, საღამოთი, საღამოთი როგორ ისვენებთო?

— ჯერ შამპანურის შხაპს ვიღებ-მეთქი, აქ ცოტა შეფიქრიანდა, „შამპანურის შხაპზე“ მიხვდა, რომ ვხუმრობდი...

...აი, სცენები მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებიდან სოფიკო ჭიაურელის მონაწილეობით.

**მესაუბრებოდა:**

— თეატრალური ხელოვნების ამოუცნობი სასწაული ისიც არის, რომ რაც უნდა დაღლილი იყო, კულისებში ტოვებ ყოველივეს და სცენაზე იწყებ ახალ ცხოვრებას... დედაჩემიც ასე იყო...

— მგონი გადააჭარბეთ კიდეც როლებით ქალბატონ ვერიკოს...

— რა გასაკვირია, ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის არც ერთი რესპუბლიკის კინოსტუდია არ დარჩენილა, ფილმში გადასაღებად არ მივეწვიე...

...უამრავი ხალხი ირევა დარბაზში. ამათ ზედმიწევნით იციან სოფიკო ჭიაურელის ფასი, ზოგან ღიმილია, სევდაცაა, სოფიკოს ნაადრევად წასვლის გამო...



და მაინც ღიმილი სჭარბობს, ღიმილი, ასე რომ ამშვენებდა ლეგენდარული მიშა ჭიაურელის ქალიშვილს...

და ღიმილით მიგვაცილებს დღესაც ამ დარბაზიდან.

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ მონატრება

# სიხარული და სევდა ერთდროულად

## გიორგი ბესთაუთისადმი მიძღვნილი საღამო

**საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა. ამ დღეს აქ გაიმართა ოსი პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ბესთაუთის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.**

გიორგი ბესთაუთის სახელი ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი ლამაზი ლეგენდა იყო. ცხინვალის პირველსკოლელები ვამაყობდით, რომ ჩვენი სკოლა ჰქონდა დამთავრებული. მერე ისე მოხდა, რომ მისი ძმა ილია ერთი წელი ჩემთან სწავლობდა, ესეც გვეამაყებოდა, თუმცა უმცროსი არ იყო ძმასავით ნიჭიერი, სწავლა უჭირდა, თუმცა ძალიან კეთილი და მშვიდი გახლდათ, ვერ გააბრაზებდი. შეიძლება იმიტომაც იყო ასეთი, რომ ძმის ავტორიტეტს უფრთხილდებოდა.

ჩვენთვის ყოველთვის ზეიმი იყო, როდესაც გიორგი მშობლიურ სკოლაში შემოვიდოდა. მოწიწებით შევყურებდი, როდესაც ჩვენი მკაცრი სკოლის დირექტორი ვახტანგ კასრაძე დერეფანში სიყვარულით ხელს გადახვევდა ხოლმე.

მერე როდესაც გიორგი ბესთაუთიმ ოსურად ვეფხისტყაოსანი გადათარგმნა, მის სახელს უფრო მეტი შარავანდედი მოეფინა. თუმცა მანამდე არაერთი კარგი ლექსი ჰქონდა დაწერილი და გამოქვეყნებული. ამ თარგმანის გამო მიენიჭა ივანე მაჩაბლის პრესტიჟული პრემია.

გიორგის მთარგმნელობით მოღვაწეობა ამით არ შემოფარგლულა. მან შესანიშნავად თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის და სხვათა ქმნილებები. ოსურად აამეტყველა აგრეთვე მრავალი თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსი. მისი ორიგინალური შემოქმედებაც იზიდავდა ბევრ პოეტს. მისი მრავალი ლექსი თარგმნეს ჯანსულ ჩარკვიანმა, ბესიკ ხარანაულმა, ჯემალ აჯიაშვილმა, გივი ალხაზიშვილმა, გიორგი შახნაზარმა, თედო ბექიშვილმა, მორის ფოცხიშვილმა და სხვ.

სამწუხაროდ, გიორგი ბესთაუთი ნაადრევად, 46 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან და მრავალი განუხორციელებელი ოცნება გაიყოლა. თუმცა ის, რაც მოასწრო, საკმარისია, რომ გამორჩეული ნიჭის პოეტი ვუწოდოთ. ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ მის საღამოზე დასაჯდომი ადგილი არ დარჩენილა, სტუმრების მესამედი ფეხზე იდგა.

სალამოს გაუძღვა ერთ-ერთი ორგანიზატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკის“ ხელმძღვანელი ნაირა ბეპიევა, მუსიკალურად გააფორმა მეორე ორგანიზატორმა — ვაჟთა ფოლკლორულ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ნართებმა“ (ხელმძღვანელი დავით ელბაქიძე).




პოეტის სტუდენტური წარსული მოიგონა თანაჯგუფელმა გიორგი შახნაზარმა. მან ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა ბესთაუთის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებიდან. ისაუბრა იმ სიძნელეებზეც, რომელიც ვეფხისტყაოსნის თარგმნის დროს შეხვდა პოეტს.

მეორე თანაჯგუფელმა ზურაბ ლომიძემ გაიხსენა როგორ ჩადიოდა გიორგის დაბადების დღეს ცხინვალში, მიუხედავად კონფლიქტური სიტუაციისა.

გიორგი ბესთაუთის განვლილ ცხოვრებაზე ისაუბრეს, აგრეთვე, ცხინვალის თეატრის ყოფილმა დირექტორმა თეიმურაზ მულდაროვმა, პოეტმა მზია ხეთაგურმა, დისშვილმა რობერტ მამისთვალოვმა და სხვ.

ბესთაუთის ლექსები ოსურად და ქართულად წაიკითხეს თბილისის მე-11 საჯარო სკოლასთან არსებული ოსური საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა.

მიუხედავად ამაღლებული, საზეიმო განწყობისა, დარბაზში დიდი დარდი იყო დასადგურებული, გაუსაძლისი დარდი, დარდი მონატრებისა, დარდი დაკარგული სახლ-კარისა, დარდი „კეთილჰაოიანი“ ცხინვალისა, დარდი გადამწვარ-გადაბუგული პირველი სკოლისა და დარდი პოეტზე, რომელსაც ქართველები ისე უყვარდა, როგორც თავისი ჯიში და ჯილაგი.



**ჯემალ კასრაძე,**
**ავტორის ფოტო**

◉ წერილი რედაქციას

**გთხოვთ, ეს შენიშვნა ჩემს პუბლიკაციასთან დაკავშირებით („ისმინე, ღვაწლის მძებნელო“..., „სრ“, 15.05.2012 წ.) გამოაქვეყნოთ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.**

ჩემგან დამოუკიდებელი (ტექნიკური) მიზეზით დაიკარგა (ამოვარდა) შემდეგი მთელი აბზაცი:

**„მეცნიერებაზე გადაგებულნი, კვლევით საქმიანობაში ყელამდე ჩაფლულნი, ქართველთა შორისაც როგორ არ ვიცი, მაგრამ სმეაის წევრის, პროფესორ ზურაბ ქევანიშვილის მაგალითმა მეც, ბევრი კაის მნახველი და „ბევრი ვაის გამგონეც“, განმაცვიფრა. იმ მოკლე ხანში, რაც უშუალოდ ვიცნობ, მოხდა ისე, რომ შაბათ-კვირის გარდა სხვა უქმეებიც გამოერია. აღდგომა იყო, გიორგობა თუ 9 მაისი, ეს კაცი ტელეფონით შინ ვერ „დავიჭირე“, სულ სამსახურში, თავის ცენტრში ბრძანდებოდა და თურმე ეს ნებაყოფლობითი „ბრძანება“ 12-საათიანია, ისევე როგორც სამუშაო დღეებში, დილის 8-დან საღამოს 8-მდე. ამ წერილს რომ ვამთავრებდი, სწორედ სამსახურში დავურეკე. — ბატონო ზურაბ, ოჯახის უფროსის ამგვარი „განდგომა“, ასეთი „გაგარეულება“ ახლობელთათვის მთლად მისაღები არ უნდა იყოს-მეთქი, გავუზიარე ეჭვი. — ადრე ხშირად მსაყვედურობდნენ, მაგრამ როცა მიხვდნენ, თუ ჩემი ცხოვრების როგორი ნაწილი, როგორი მდგენელია მეცნიერება, სამსახური — მიეჩვიენ და შეეგუენო“,** მიპასუხა.

ეს ამოვარდნილი სტრიქონები უძღოდა წინ პუბლიკაციის ბოლო, დამამთავრებელ აბზაცს და ჩემი ჩანაფიქრით, „ამზადებდა“ კიდევაც:

**„არ მოკლებოდეს ქართულ მეცნიერებას ბატონი ზურაბის მსგავსად ოჯახიდან „განდგომილები“-მეთქი, ვიფიქრე მე აქ...“**

დამეთანხმებით, რომ წერილის ეს ბოლო „აკორდი“ მთლად კორექტულად არ გამოიყურება, მეტიც, აზრს კარგავს იმ „დაკარგული“ ნაწილის გარეშე...

პატივისცემით

**თამაზ ებანოიძე,**
16.05.2012 წ.

◉ ინფორმაცია

### ბათუმში ქუჩის გადახურვას აპირებენ

**ბათუმში მემედ აბაშიძის ქუჩის (ყოფილი სტალინის ქუჩა) გადახურვა იგეგმება. საკითხი ბათუმის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განიხილეს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება სამომავლოდ იქნება მიღებული.**

**როგორც ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი არჩილ ვანაძე აღნიშნავს, ქუჩის გადახურვისთვის გათვალისწინებულია 2 მილიონ 300 ათასი ლარი.**

**— ტურისტული ქუჩის გადახურვასთან დაკავშირებით, საკრებულომ მიიჩნია, რომ საკითხი მეტ კონკრეტიკას საჭიროებდა, ამიტომ საკითხის განხილვა გადაიდო მომავალ სხდომამდე. არსებობს ტიპური პროექტი, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს გადახურვა, — აღნიშნა არჩილ ვანაძემ.**

**ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი კირთაძე აღნიშნავს, რომ საკრებულო გადაწყვეტილებას მერიის მიერ დაზუსტებული პროექტის წარმოდგენის შემდეგ მიიღებს.**

**ბათუმის საკრებულოს წევრი, „რესპუბლიკელი“ ირაკლი ჩავლეიშვილი საკითხის კონკრეტიკას და პასუხისმგებელი პირებისგან პასუხს მოითხოვს.**

ინტერპრესი

## სიტუაცია

# ტახტზე ორი გუნდი ადიოდა...



**XXIII ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „ზესტაფონმა“ რუსთავის „მეტალურგს“ 21 (!) ქულით გაუსწრო, თანაც ამ უკანასკნელმა საწყისი დისტანცია ბურთების უარყოფითი შეფარდებით დაასრულა, ხოლო პლეი-ოფში უკვე ქვემოქართლელებმა მოიპოვეს შვიდქულიანი უპირატესობა.**

ამოცანა გვეკითხება – ვინ უფრო იმსახურებს ოქროს მედლებს? და პასუხიც ნათელია, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ გათამაშების „კლიაოზნი“ დებულებით ორივეს აქვს საბაბი წარმატება იზეიმოს.

თუ დაინტერესდებით – ეს როგორ, გეტყვით, რომ შესაბამის პუნქტში დაკონკრეტებული არ არის, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში მოგებათა მეტი რაოდენობა როდის იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას – შემოდგომაზე თუ გაზაფხულზე.

და კიდევ: აბსურდულად გვეჩვენება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დომენტი სიჭინავას მიერ თავის გასამართლებლად მოხმობილი არგუმენტი – აღნიშნულის თაობაზე თითოეულ კლუბს ჩემპიონატის განახლებამდე დავუგზავნე შეტყობინება და ყველანი ინფორმირებულნი იყვნენო (შე დალოცვილო, ფოსტალიონი ხომ არა ხარ? – **გ. პ.**).

ჯერ ერთი, ამ ფარატინა ფურცელს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და მეორეც: რადგან ქართული ფეხბურთის უმაღლესი მმართველი ორგანო ფედერაციის აღმასკომია და არა მისი დილეტანტი თავკაცი, სათანადო ვერდიქტიც სწორედ მას უნდა გამოეტანა. თუმცა, არც ახლაა გვიან – ვიდრე დაინტერესებული მხარეები საქმეში ფიფა-უეფას ჩარევენ და ჩვენთვის სამარცხვინო კიდევ ერთი სკანდალი აგორდება, ვიმედოვნებთ, მოიძებნება პიკანტური სიტუაციიდან ოპტიმალური გამოსავალი და ტახტზე ჭეშმარიტად უძლიერესი ავა.

**პლეი-ოფის დასკვნითი ტური:** „კოლხეთი“ – „მეტალურგი“ 0:2, „ზესტაფონი“ – „მერანი“ 3:0, „ტორპედო“ – „დილა“ 3:2, „დინამო“ – „ბაია“ 6:1.

**საბოლოო მდგომარეობა:** „მეტალურგი“, „ზესტაფონი“ – 55-55, „ტორპედო“ – 48, „დინამო“ – 40, „დილა“ – 37, „კოლხეთი“ – 32, „ბაია“ – 22, „მერანი“ – 21 ქულა.

**გუშინ გამართულ ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სხდომაზე ქვეყნის ჩემპიონად „ზესტაფონი“ გამოცხადდა. ვნახოთ, როგორი გაგრძელება მოჰყვება ამ ამბავს.**

**გია პლატონიშვილი**

## კალათბურთი

# ცინცაძის „ჰანგები“

**სპორტის სასახლეში მისულმა ტრიბუნაზე ერთ დროს უძლეველი „ვითას“ პრეზიდენტს თემურ დათიკაშვილს მოვკარი თვალი. ბუნებრივია, გულთბილად მოვიკითხეთ ერთმანეთი. ის პერიოდიც გავიხსენეთ, როცა მისმა ნაამაგარმა კლუბმა ზედიზედ შვიდჯერ მოიპოვა შინაომში გახვეული სამშობლოს ჩემპიონობა და ევროტურნირიც დააჭაშნიკა. გემახსოვრებათ, ალბათ, უნგრულ „კიორმენდთან“ მომხდარი სასწაული, როცა ერთ წუთში მეტოქეს 8-ქულიანი უპირატესობა ამოვუქაჩეთ და მოვუგეთ.**

რადგან „არმიისა“ და „ოლიმპის“ მეორე ფინალური მატჩი ახლოვდებოდა, ვისარგებლე შემთხვევით ჩვენ. ეს საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე 53:59-ზე მოხდა, როცა ფავორიტმა მილუტინოვიჩის ყოვლად გაუმართლებელი საჯარიმოს გამო ერთბაშად 8 ქულით გაიმდიდრა მონაგარი და ფსიქოლოგიურად გატეხა მოწინააღმდეგე.

სუპერლიგის პლეი-ოფების სპეციფიკის შესაბამისად, ერთმანეთის მიყოლებით დანიშნული ზედიზედ ორი დუელი განსაკუთრებულ ფიზიკურ რესურსებს მოითხოვს, რაც ამჯერად მხოლოდ გიორგი ცინცაძეს (შესაბამისად – 28 და 24 ქულაძ აღმოაჩნდა. გეცოდინებათ, რომ შარშანდელ „ევრობასკეტზე“ მიღებული მძიმე



და ამჟამად ისრაელში მოღვაწე ჩვენს თანამემამულესთან დავაზუსტე, იყო თუ არა ეროვნულ ჩემპიონატებში შემთხვევა, გამარჯვებულს დაუმარცხებლად მოეხვეჭოს ოქროს მედლები.

დიახ – მიპასუხა თანამოსაუბრემ, ასეთი ფაქტი 1996-1997 წლების სეზონში მოხდა, როცა ყველას უპრობლემოდ გავუსწორდით, მათ შორის ფინალურ სერიაში – თბილისის „დინამოს“.

ასე რომ, თავისთავად გამოირიცხა ახალი რეკორდის დამყარების ვარიანტი. საუკეთესო შემთხვევაში „არმიას“ „ვითას“ მიღწევის გამეორება შეეძლო, მაგრამ ესეც ვერ შეძლო. თუმცა, ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

მანამდე კი ისევ დედაქალაქის მთავარ დახურულ სპორტულ სარბიელს დავუბრუნდეთ, სადაც ჭაბუკთა ლიგის ერთ-ერთი ასაკობრივი ჯგუფის V ადგილის ბედი წყდებოდა.

დინამოელთა მეთერთმეტენომერი დევიდსონი ჩემი ვაჟიაო – მითხრა ორი ქვეყნის შვილმა. მართალია, მძაფრი ბრძოლა „რუსთავმა“ მოიგო – 75:73, მაგრამ დავით დევიდსონი 8 ქულით შეეწია პარტნიორებს და ჯიგრიანი თამაშით ის ძველი „ვითა“ გამახსენა. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუმართა წარმატება მნიშვნელოვანწილად ციცქნა გამთამაშებელმა აბაიშვილმა (35 ქულა) და უნივერსალმა პატაშურმა (30 ქულაძ გამოჭედეს. ახლა კი მთავარზე.

**„არმია“ – „ოლიმპი“ 72:66, 67:69**
**(სერიის ანგარიში – 1:1)**

სხვათა შორის, ძალოვანები პირველ შეხვედრაშიც უფსკრულის პირას იყვნენ, მაგრამ გადარტრავმის შემდეგ „ჯვაროსანთა“ სასტარტო ხუთეულის წევრმა ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი გაიარა და, ეტყობა, უწინდელი კონდიციები აკრიფა.

დავძენთ, რომ „ბუმ“ გადამწყვეტი ბურთი ბოლო წამზე ჩააგდო და თავის გუნდს რევანში აალებინა, არადა დებიუტი ისეთი გახლდათ – 26:10 „ოლიმპის“ სასარგებლოდ, ძნელი საფიქრებელი იყო, თუ ასე დრამატულად განვითარდებოდა მოვლენები ფინიშზე.

რაც შეეხება არმიელთა ლეგიონერებს, ისინი ეპიზოდურად ბრწყინავდნენ და არასტაბილურად ირჯებოდნენ, ამიტომ სავსებით ლოგიკურია, რომ წყვილში უძლიერესის ვინაობა გაურკვეველი რჩება.

დღეს და ხვალ 14 საათზე სპორტის სასახლეში ფინალური სერიის მესამე და მეოთხე მატჩები გაიმართება.

* * *

**განსხვავებულად ჩაებნენ იტალიის „სერია-ა“-ს პლეი-ოფებში ქართველ ლეგიონერთა კლუბები.**

„კანტუ“ საშინაო თამაშების შემდეგ 2:0-ს უგებს „სკავოლინის“ (პირველ შეხვედრაში მანუჩარ მარკოიშვილმა 20 ქულა მოაგროვაძ, ხოლო „ბოლონია“ გასვლითი ბრძოლების შემდეგ ასეთივე შედეგით მარცხდება „სასარისთან“. სამწუხაროა, რომ სარდინიაზე გამართულ მეორე ჯახში მასპინძლებმა დამატებით დროში იძალეს – 88:86. 12 ქულა და 12 მოხსნა – ასეთია ბოლონიელთა ლიდერის ვიქტორ სანიკიძის პირადი მონაგარი.

**გიორგი შოთაძე**

## ჩემპიონთა ლიგა

# ბედის ნებიერა



**ასე იყო, ასე არის – ტიტულები ხანდახან ანტიფეხბურთსაც მოაქვს. თუმცა, მოგეხსენებათ, გემოვნებაზე არ დავობენ, ამიტომ იტალიური კატენაჩიოს მემკვიდრე „ჩელსის“ თაყვანისმცემლებს ვულოცავთ „არისტოკრატთა“ ტრიუმფს.**

**„ბაიერნი“ – „ჩელსი“ 1:1**
**(პენალტებით 3:4)**
**გოლები:** მიულერი; დროგბა.

ასეთი შესავლის მიუხედავად, სათანადო პატივი უნდა მივაგოთ ლონდონელთა წარმატებების სულისჩამდგმელ მაგნატს რომან აბრამოვიჩს, რომელმაც, როგორც იქნა, აისრულა ოცნება და თავისი კლუბი ევროპული ფეხბურთის ელიტას აზიარა.

ბუნებრივია, ეს მოვლენა არ მოხდებოდა, რომ არა მთავარი მოქმედი პირნი და შემსრულებელნი: ილბლიანობის განსახიერება ახლადგამოჩეკილი მწვრთნელი რობერტო დი მატეო, ადამიანი – გოლი დიდიე დროგბა, გუნდის ხერხემალი ფრენკ ლემპარდი და გენიალური მეკარე პეტერ ჩეხი.

ბავარიელებზე კი რა უნდა ვთქვათ? მხოლოდ ის, რომ, „ბარსელონას“ მსგავსად, მანაც ქარს გაატანა უდიდესი უპირატესობა და უსამართლობა აზეიმა.

## მკლავჭიდი

# ტიტული შეინარჩუნა

**ქართველი მკლავჭიდელი (110 კგ) გენადი კვიკვინია მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონია. ერთი თვის წინათ საქართველოს ჩემპიონატზეც იოლად გაუმკლავდა კონკურენტებს და, აი, ახალი წარმატება: პოლონურ გდანსკში კონტინენტის პირველობაზე ერთბაშად ორი ოქროს მედალი მოიპოვა. ცაციათი პაექრობისას გადამწყვეტი ორთაბრძოლა უკრაინელ**




**სერგეი ტოკაჩევს მოუგო, მესამე იყო თურქი ფერიტ ოსმანლი. მარჯვენა მკლავით სწორედ ამ ოსმალოს აართვა ოქრო. მესამე ადგილი რუს არტიომ გრიშინს ხვდა.**

ევროპის ჩემპიონატზე „ვერცხლი“ მარცხენა მკლავით ჯაბა გეთიაშვილმა (75ძ მოიპოვა – გადამწყვეტ პაექრობაში ვლადიმირ მნაცაკანიანთან დამარცხდა. 65 კილოში ორივე მკლავით მეოთხე ადგილები ვილენ გაბრავამ დაიკავა.

გდანსკში კიდევ ერთი ქართველი ავიდა კვარცხლბეკზე – გელა ხუბიაშვილი (მძიმე წონაძ, რომელმაც ვერცხლის მედალი უკრაინის დელეგაციას მოუტანა.

## მძლეოსნობა

# გოგოჭური ისევ აფრინდა

**ერთი წელიწადია, სიმაღლეზე მხტომელი ზურაბ გოგოჭური მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. შარშან ამ დროს საქართველოს ჩემპიონატი პირადი რეკორდით – 205 სანტიმეტრით მოიგო, მერე შემოდგომით ბელარუსის ღია ჩემპიონატზე 210 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო.** წლეულს თებერვალში ზამთრის ეროვნულ ჩემპიონატზე დარბაზებისთვის ქვეყნის რეკორდი დაამყარა – 216 სმ. ერთი კვირის წინათ ეროვნულ სტადიონზე მან 2,24 მეტრი დაძლია და 28 წლის წინათ დამყარებული საქართველოს რეკორდი 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა. და აი, გასულ უქმეებზე, თურქეთში ევროპის სუპერლიგის პირველობაზე თამასა ერთი სანტიმეტრით აამაღლა და ქვეყნის რეკორდი 2,25 მეტრამდე გაზარდა. ახლა მას ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის შესრულებამდე 3 სანტიმეტრიღა აკლია.

## წყალბურთი

# ჩემპიონმა პლეი ოფი გაინაღდა

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსმა“, რომელიც მოქმედი ჩემპიონია, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრებით დაკომპლექტებული „ივერია“ დაამარცხა 13:11, მოაგროვა 16 ქულა და პლეი ოფში თამაშის უფლება გაინაღდა.**

**მეოთხე ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:** ჭაბუკთა ნაკრები – „თბილისი“ 12:18, „ივერია“ – „ზვიგენები“ 14:12, ჭაბუკთა ნაკრები – „ზვიგენები“ 10:13.

**ბოლო ტურის წინ სატურნირო მდგომარეობა ასეთია:** „ლიგამუსი – 16, „თბილისი“ – 12, ჭაბუკთა ნაკრები – 8, „ივერია“ – 8, „ზვიგენები“ – 4, „ბათუმი“ – 0 ქულა.




**5-6 ივნისს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:** ჭაბუკთა ნაკრები – „ივერია“, „თბილისი“ – „ლიგამუსი“, „ზვიგენები“ – „თბილისი“, „ლიგამუსი“ – ჭაბუკთა ნაკრები. „ბათუმი“ უსახსრობის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ლაშა დიდია**

## ჰოკეი

# მალკინის ბენეფისი

**რუსეთმა მსოფლიოს ჩემპიონობა დაიბრუნა.**

**ფინეთში დასრულებული ფორუმის ფინალში ზინეტულა ბილიალეტდინოვის გუნდმა სლოვაკეთი დააჩოქა – 6:2, არადა დებიუტშივე მეტოქე დაწინაურდა.**



სიმბოლურია, რომ ჩრდილოელთა ტრიუმფს წერტილი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა და ყველაზე სასარგებლო მოთამაშემ ევგენი მალკინმა დაუსვა.

მესამე ადგილისთვის გამართული მატჩი ჩეხებმა მასპინძლებს მოუგეს – 3:1.

◎ სამბო

# საქართველოსთვის მედლები ქალებსაც მოაქვთ



**წლების განმავლობაში ქართველი სამბისტები წარმატებით ასპარეზობენ ნებისმიერ საერთაშორისო სარბიელზე და შინ ყოველთვის უხვი ნადავლით ბრუნდებიან. ამჟამად მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზე ვაჟთა ნაალაფარს თავისი წილი ქართველმა ქალებმაც მიუმატეს.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი (57კ) და ნოდარ მეტრეველი (+100კ). კუზანაშვილმა ზედიზედ სძლია მიხაილ ილიჩუკს (უკრაინა), ვაჰე ვარდანიანს (სომხეთი) და სერგეი იალიშევს (რუსეთი), გადამწყვეტ პაექრობაში კი აზერბაიჯანელი ისლამ გასუმოვი დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

ნოდარ მეტრეველი ძიუდოისტია, სამბოში დებიუტი ჰქონდა. ამის მიუხედავად, დამაჯერებლად გამოვიდა ხალიჩაზე. მეოთხედფინალში ფრანგი დავიდ ჰერანი ჩამოიშორა გზიდან, მერე რუს მაქსიმ შარანს აჯობა, ხოლო ფინალში ბელარუსი ალექსანდრ ვახავიაკი დაამარცხა 2:1.

სამ წონით კატეგორიაში გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ გენადი ჩირგაძე (52კ), ლევან ნახუცრიშვილი (68კ) და ბესარიონ ბერულავა (74). მსოფლიოს ჩემპიონი მირიან პავლიაშვილი (100კ) მესამე ადგილზე გავიდა.

ქალებში ირინა ლეონიძე (80კ) შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი გახდა, ამჯერადაც კარგად იჭიდავა — მხოლოდ ფინალი წააგო მარია ორიაშკოვასთან (ბულგარეთი) და ვერცხლი ერგო. ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონმა შორენა შარაძემ (64კ) უფროსებში დებიუტი ბრინჯაოთი აღნიშნა.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ძიუდო

# „ტაიფუნი კიევში“

**ასე ერქვა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასს, რომელსაც უკრაინის დედაქალაქმა უმასპინძლა. საქართველოს ექვსკაციანმა გუნდმა ორი ოქროს მედალი მოიპოვა.** ვაჟა მარგველაშვილმა (60 კგ) ასპარეზობის სტარტზე მასპინძელ ვასილ ონიფრაკს აჯობა, მერე მის გზას გაუყენა ჩეხი დავიდ პულკრაბეკი, აზერბაიჯანელი ისკანდერ ტალიაშინსკი, რუსეთელი სეროჟ სუროიანი, ფინალშიც უკრაინელი არტიომ ფალკივსკი დაამარცხა. ალექსანდრე ზაალიშვილმა (81კ) ნიკიტა ვოლოშინი (ლატვია), უკრაინელები — ანდრეი გორდიენკო და არხამან მეჟიევი, უზბეკი შაზოდბეკ სობიროვი, პოლონელი ტომაზ სცზეპანიაკი შეიწირა და მთავარი პრიზი მოიპოვა. ომარ ტყეშელაშვილი (81კ), როსტომ ხახალეიშვილი (+100კ), ანდრო ბერუაშვილი (66კ) და ჯაბა კაპანაძე (90კ) კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

◎ ტყვიის სროლა

# „ბრინჯაომდე“ 0,1 ქულა არ ეყო



**მილანში ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშებაში საქართველოდან ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე და ლევან ქადაგიძე მონაწილეობდნენ.** სალუქვაძემ სახელოვან ჩუბინებთან პაექრობისას სპორტული პისტოლეტიდან სროლაში 788,1 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა და მესამე ადგილზე გასულ სერბ ოლიმპიურ ჩემპიონ იასნა სეკარიჩს 0,1 ქულით ჩამორჩა. უკრაინელმა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ოქსანა კოსტევიჩმა 795,5 ქულით მთავარი პრიზი მოიპოვა, 789,2 ქულით ჩეხმა ლენკა მარუსკოვამ ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ლევან ქადაგიძე 530 ქულით 31-ე ადგილით დაკმაყოფილდა. ორივე ქართველი ჩუბინი 24-27 მაისს მიუნხენში მსოფლიოს თასის მორიგ გათამაშებაში ჩაებმება.

◎ რაგბი

# „ლომები“ „დათვებთან“ დამარცხდნენ

**ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ფინიშამდე ერთი მატჩი დარჩა გასამართავი: საქართველო — უკრაინის გადადებულ შეხვედრას 9 ივნისს თბილისი უმასპინძლებს.** მთავარი პრიზის მოგება საკმაოდ გაგვიიოლეს ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა: რუსებმა შინ პირენეელ „ლომებს“ — ესპანელებს 41:37 აჯობეს. სტუმართა რიგებში ქართული წარმოშობის დავით გურგენიძემ ითამაშა. ახლა 16-16 ქულით ესპანეთი და რუმინეთი მეწინავეობენ. „ბორჯღალოსნებს“ 15 ქულა და ერთი თამაშით ნაკლები აქვთ. ქართველ მორაგბეებს პირველი ადგილის დასაკავებლად უკრაინელებთან ნებისმიერი ანგარიშით მოგება აძლევთ ხელს. ეს კი თასის გათამაშების აუტსაიდერებთან არ უნდა გაუჭირდეთ. ამ პაექრობის შემდეგ ჩვენებურები ოკეანის გაღმა ტესტმატჩების გასამართავად გაემგზავრებიან.

**გივი გაგუა**

◎ ჩოგბურთი

# მარიას „დუბლი“

**მარია შარაპოვამ ზედიზედ მეორედ მოიგო რომის თიხნარზე გამართული ზეპრესტიჟული ტურნირი.**

დრამატულ ფინალში რუსმა ტურფამ შარშანდელი როლან გაროსის ჩინელი გამარჯვებული ლი ნა დაამარცხა — 4:6, 6:4, 7:6. აღსანიშნავია, რომ მეორე პარტიაში აზიელი 4:0 დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

უმთავრესი ფავორიტები ვიქტორია აზარენკა და სერენა უილიამსი ტრავმების გამო უბრძოლველად გამოეთიშნენ ასპარეზობას. ვაჟთა ტურნირის გამარჯვებულმა რაფაელ ნადალმა ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩს 7:5, 6:3 სძლია.

27 მაისს პარიზის კორტებზე საფრანგეთის ღია ჩემპიონატი იწყება.

◎ სიკვდილგაშინაურებულნი

# ტრაგიკულად დაღუპული შვილის — ირაკლის ხსოვნას



## შენ კი გზის გავლა დრომ არ გადროვა

მზე სისხლისფერი, თითქოს, მკერდიდან
ამოგლეჯილი ჩემი გულია,
მთვარე — უკუნში გამქრალი თვალი.
იავარქმნილ თვალსაწიერზე
ხორშაკ ქარებს გადაუვლიათ.
ღვინო და ცრემლი...
ცრემლით ვარ მთვრალი.
ეზოში სუფრა...
ტოლ-ამხანაგი, მეზობელი თუ მეგობარი
დუმილში სხედან,
ხოლო თვალებს ცრემლები ნამავს.
უკვე შეისვა ნაადრევი შესანდობარი,
მაგრამ შენდობა როგორ თქვას მამამ?!
გადმოუშლია შავი დროშა
ვენუს მშვენიერს.
ცისკრის ვარსკვლავი ვით ქცეულა
მწუხრის მნათობად?
მე გზას გავყურებ განვლილს ჩემ მიერ...
ისევ მარტო ვარ!...
შენ კი გზის გავლა დრომ არ გადროვა.
სუსხიან ზამთრის მზებუდობაში
ოცდამეექვსე გაზაფხული დადუმებულა.
მეუღლე შენი — მგლოვარი გედი
და დედაშენი როგორც ნიობე.
დღეს მზე არ გვათბობს,
კაბადონიც არ ხასხასებს წინანდებურად,
გვრიტის ლაპები უმწეონი ვით დამიობლეს?!
სინათლის სახლი ვინ მიქცია გოდების სახლად,
უკუნ ქალაქად ეს მზის ქალაქი?
ჩემს არსებობას, გამოშაშრულს,
რა ჰქვია ახლა?
ერთგულებისთვის რად მომაგო
ბედმა ღალატი?

ო, ბედისწერის ქალღმერთებო!
მძულხართ და გწყევლით!
ბრმა განჩინების თქვენი წიგნიც
ცეცხლში დაიწვას.
ამდენი სისხლით უმანკოთა
ამდენი ცრემლით
ლამის ზრიალით ჩამოემხოს
ცა დედამიწას.
სიკვდილის შიში,
ვინც დაილალა ცეცხლოვანი კირთების ნიშნით,
ვის ერგო წილად ამა სოფლის
მწარე ნაყოფი...
------------------------------------------
წყვდიადის ზღვებზე აღარ ჩანან
მზის ხომალდები,
თეთრი აფრებით რომ სერავდნენ
სივრცეებს წინათ.
სიცოცხლევ ჩემო, ალბათ, მალე მეც
მოგადგები
იქ, სადაც შენი წმიდა სული
ვარსკვლავად ბრწყინავს.

**მურად ჭოლოკავა**
25 აპრილი, 2012 წელი.

# ბედისწერის გზაჯვარედინთან

შენზე ფიქრში ლამის ღამე ამოთეთრდა, ირაკლი. არ ვიცი რამ გამახსენა მექი ასათიანი. როცა საცოდავმა მამამ ლეჩხუმიდან მომაკვდავ შვილს ჩამოაკითხა, მაშინ პოეტი ოცდაექვსიოდე წლისა იყო. შენც ოცდაექვსი წლისა მოუკვდი მამაშენს — ცნობილ პოეტს, თითქოსდა სიმბოლურია — ლადო ასათიანის სახელობის პრემიის ლაურეატს — მურად ჭოლოკავას. ორი უბედური მამა — ერთი ხვედრის თანაზიარნი. რომელი ჯილდო და რეგალია გადასწონის შვილის სიცოცხლეს?! მამის ცრემლზე შემზარავი ხომ ქვეყნად არაფერია — ქვას და სულს რომ ერთნაირად ბურღავს.

შენი სათნო, მუდამ უნაზესი დედა კი, როგორც ღირსეულ ქალს შეჰფერის, „ვეფხისა და მოყმის“ ბალადისა არ იყოს, შენთან ერთად სხვის შვილსაც დასტირის, ვნების კვირის დიდ შაბათს ბედისწერის გზაჯვარედინთან რომ შეგყარათ განგებამ ერთმანეთს. დიახ, ბედისწერის გზაჯვარედინთან, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ნეტავ რა ძალამ უგუმანა მამაშენს, თავისი 70-წლიანი ცხოვრების მთავარი წიგნისათვის სწორედ ეს სახელი — „ბედისწერის გზაჯვარედინი“ რომ დაერქმია. ეს რომანი ახლა შენ მოგეძღვნება, ხოლო დასასტამბად გამზადებული უმშვენიერესი ლექსების კრებული „დარდისერთა“ კი შენ და ხუთიოდე წლის წინათ, ასევე ტრაგიკულად დაღუპულ შენს არაჩვეულებრივ ძმას — გიას.

„ნეტავი სიკვდილსაც მისცა შვილიო“, — ბრძენ ხალხს რომ არ ეთქვა, ალბათ, მურადს ამოათქმევინებდა ამ სიტყვებს განგება. „ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, სამძიმარს ნუ ეტყვიო“, — ამასაც უსათუოდ თავად იტყოდა ჭირგაშინაურებული, ულამაზესი და უსპეტაკესი შვილების დამკარგავი მამა, ახლა წმინდა იობივით თავის გაჩენის დღეს რომ გმობს და ღმერთს ერთგულობს.

თითქოს სისხამ დილით სიზმრის დედებმა უგუნებო ამბავი ამცნესო ან იქნებ დაღლილ მხრებზე გრძნეული ფრინველი შეაფრინდა, ანდა სულაც მშობლის გულმა იგუმანა, მაშ რამ დააწერინა ამ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე მამა-პოეტს ასეთი ლექსები: „პაემანი სიკვდილთან“, „ფიქრი ლამაზ სიცოცხლეზე“?..

ჭირისუფლის ჭირისუფალი ახლა ის შენი ჭირისუფალი და მამით ობოლი შვილიშვილების გამზრდელი ბაბუაა, 70 წლის ჭარმაგი კაცი, რომელიც მხოლოდ ერთხელა ოცნებობს, შენ საფლავთან ხელჩაკიდებული მიიყვანოს შენი პატარა ნიკა და „მრავალჟამიერ“ გარინდებული, „ურმულივით“ ნამარტოსულევი გული მისი ტიტინით გაგითბოს.

საქართველოს მწერალთა
კავშირის სახელით
**მარინე ცხვედიაშვილი**

დედა ნანული მიქავა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ პარიზში გარდაიცვალა

**გიული ბიძინას ასული**

**მგალობლიშვილი-ფაბრიე**

---

ძმები შალვა, ვანო, ზვიადი, დები მაია, ნატო, მანანა, ეკა მგალობლიშვილები, რძლები, სიძეები, ძმისწულები, დისწულები მწუხარებით იუწყებიან, რომ პარიზში გარდაიცვალა

**გიული ბიძინას ასული**

**მგალობლიშვილი-ფაბრიე**

---

ფოთოლა, თენგიზ კალანდაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ სვეტა და შალვა მგალობლიშვილებს დის

**გიული ბიძინას ასული**

**მგალობლიშვილი-ფაბრიეს**

გარდაცვალების გამო.

---

რუსუდან პიტავა თანაუგრძნობს შალვა მგალობლიშვილს და მისი ოჯახის წევრებს დის

**გიული ბიძინას ასული**

**მგალობლიშვილი-ფაბრიეს**

გარდაცვალების გამო.

---

მარინა კანდელაკი, ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები მწუხარებას გამოხატავენ და თანაუგრძნობენ მგალობლიშვილების დიდ ოჯახს

**გიული ბიძინას ასული**

**მგალობლიშვილი-ფაბრიეს**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ლალი სუდაძე, შვილი ანუკი, სიძე აკაკი კოპალიანი, შვილიშვილები ლუკა, ლიზა, ძმა არნოლდ კოპლატაძე, რძალი ნუნუ ფირცხალაიშვილი, ძმისწული ვიქტორია კოპლატაძე, ცოლისდა ნანა სუდაძე, მძახლები გულნაზ, ნუგზარ კოპალიანები, სიძე ოთარ კალანდაძე, ცოლის დისწულები დათო, რეზო კალანდაძეები ოჯახებით, დეიდაშვილი ანგელინა სვანიძე, მამიდაშვილები ლამარა, მერი ბარამიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვილუარ (ვილი)**

**კოპლატაძე**

დაკრძალვა 22 V, 14 სთ. გამსახურდიას №25, I სადარბაზო.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ოთარ ონიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## დეზოდორის მაგიერ

# მგონი, მასხარად გვიგდებენ Wecekend-იც და პოეტიც...

სიბინძურის ყულაბა

**რატომღაც უკანასკნელ ხანამდე მეგონა, ქართველებს ერთადერთი შეურყვნელი ზნეობა შეგვრჩა-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, კარგა გვარიანად ვტყუვდებოდი... აგერ ახლახან სექსგაუკუღმართებულმა ქართველებმა მოთხოვნები წამოაყენეს და რუსთაველსაც ბოლომდე გაივლიდნენ, ჩვენს აშკარად შეურაცხყოფილ მოქალაქეებს რომ არ შეეჩერებინათ და ზოგ-ზოგს ხელიც არ გამოელო.**

დღეს, დიდად სამწუხაროდ, არც ის არის ჩვენი დედაქალაქისთვის (და, ალბათ, სხვა ქალაქებისთვისაც!) უცხო, რომ ევროპისგან განსხვავებით, სხეულით მოვაჭრე დიაცნი ფანჯრებიდან კი არ იწვევენ სექსის მაძებარ კლიენტებს, არამედ პირდაპირ ქუჩებში დგანან ნახევრად შიშველნი (ეს სითბოში, რასაკვირველია, თორემ არც ზამთრის მუღამი აკლიათ!).

დიდად სამწუხაროა ისიც, რომ უზნეობა და ბილწსიტყვაობა ნორმად იქცა არაერთი გაზეთისა და ჟურნალისთვის... ტელევიზიაზე აღარაფერს ვამბობთ. ერთი სიტყვით, თუ პრესას კითხულობ, ხშირად თვალები უნდა დახუჭო, ისეთი რამ წერია, ხოლო თუ ცისფერ ეკრანთან ზიხარ, არცთუ იშვიათად ყურთ უნდა დაიცო, ისეთი რამ გესმის...

ასე დამემართა, მაგალითად, 18 მაისს Weekend-ის ფურცლებზე სიბილწეგაშინაურებული კოტე ყუბანეიშვილის ეგრეთ წოდებული „სვეტური პოეზიის" კითხვისას (ნეტავი არც ჩამეხედა!). აი ერთ-ერთი „შედევრი":

**„ყლე თავის თავი არვის გონია**
**და ევასება თავის აზრები"...**

ეს, ალბათ, თავად პოეტსაც ეხება, როცა ამ თავის „აფორიზმს" გვთავაზობს, მაგრამ ის კი ნამდვილად დღემდე არ ვიცოდით, თუ რატომ არის გურჯი, ანუ ქართველი ლურჯი და რისგან არის გალურჯებული.

აი თურმე რისგან:

**„ცისფერი რომ გახდება**
**გურჯი**
**გურჯი არის ბევრი ტყვნისგან**
**ლურჯი"...**

უწმაწურობის აგრერიგად გაშინაურება ამ ჩვენი ყოველკვირეულის ფურცლებზე კიდევ უფრო იმიტომაც გვანცვიფრებს, რომ Weekend-ის მთავარი რედაქტორი ქალბატონია, თანაც უთუოდ კარგი ჟურნალისტი.

**შაქრო თხლენაჭამიშვილი**


სვეტური პოეზია

კოტე ყუბანეიშვილი

სიტყვაა მკვდარი
თქმული თუ არი
ვიღაცა თვლიდა
მე კი თქმა მიწევს
სიცოცხლეს იწყებს
იმავე დღიდან.

*

მე ვთვლი საკმარისად
ღმერთმა შეგვიწყალა
როგორც გვიმოწმებენ
ცხარე დებატები
თუმცა ყველაფერი

## დაიჯესტი

### ნობელის პრემიის რიგში



**ინდიანოპოლისელ ჯეიკობ ბარნეტს „აუტიზმის სასაზღვრო მდგომარეობის" დიაგნოზი ექიმებმა დაახლოებით სამი წლის ასაკში დაუსვეს.**

იგი სხვა ადამიანებთან კონტაქტში არ შედიოდა, არანაირ ემოციას არ გამოხატავდა, მაგრამ ძალიან უყვარდა ქაღალდის ფურცლებზე ციფრებით გართობა, ზეპირად კი რიცხვი „პი"-ს გამოთვლა მძიმის შემდეგ მეორასე ნიშნამდე სიზუსტით შეეძლო. რამდენიმე ტესტის შემდეგ ექიმებმა დაადგინეს, რომ მისი ცოდნა ფიზიკაში, მათემატიკაში, ასტრონომიასა და ასტროფიზიკაში სადოქტორო ხარისხის დაცული სწავლულის დონეზეა. ასე გახდა 12 წლის ჯეიკობ ბარნეტი უნივერსიტეტის სტუდენტი. ბიჭუნამ ფარდობითობის ახალი გაფართოებული თეორია წარმოადგინა, რომლის შესახებ პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა სკოტ თრიმეინმა, კერძოდ, თქვა: „თეორია, რომელზეც ეს ბიჭი მუშაობს, ასტრონომიისა და თეორიულ ფიზიკის რამდენიმე ყველაზე რთულ პრობლემას მოიცავს, ამიტომ ის, ვინც მათ ამოხსნის, ნობელის პრემიის მისაღებად რიგში ჩადგება".

### „ბანქოს მოთამაშეების" რეკორდი



**ყატარის სამეფო ოჯახმა ფრანგი იმპრესიონისტის პოლ სეზანის მხატვრულ ტილოში „ბანქოს მოთამაშეები" 250 მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა.** პოლ სეზანის ეს ნახატი ხელოვნების სამყაროში ყველაზე ძვირი ნამუშევარია. წინანდელი რეკორდი ამერიკელი აბსტრაქციონისტის ჯექსონ პოლოკის ტილოს „№ 5, 1948" ეკუთვნოდა, რომელიც 2006 წელს 140 მილიონ დოლარად გაიყიდა.

### მდიდრები და ღარიბები

**ყატარი, ლუქსემბურგი, სინგაპური — ესაა მსოფლიოს უმდიდრეს სახელმწიფოთა სამეული, რომელიც ჟურნალმა „ფორბსმა" რეიტინგის სათავეში მოაქცია.**

რეიტინგი ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობის მიხედვით შეადგინეს, რომელიც ყატარში 88 ათასი დოლარია, ლუქსემბურგში — 81 ათასი დოლარი, ქალაქ-სახელმწიფო სინგაპურში კი — 56,7 ათასი დოლარი.

გარდა აღნიშნულებისა, „ფორბსის" რეიტინგის უმდიდრეს ქვეყნების სიაში ასევე შევიდნენ **ნორვეგია** (51 959 დოლარი), **ბრუნეი** (48 333 დოლარი), ასევე **არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ჰონკონგი, შვეიცარია.**

რაც შეეხება ყველაზე ღარიბ ქვეყნებს, მათ შორის ულატაკესნი არიან **ბურუნდი, ლიბერია და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა,** სადაც წლიური მშპ, შესაბამისად, 400, 386 და 312 დოლარია.

### ძველმოდური ჩარლზი



**კირკიტა ჟურნალისტებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ გაერთიანებული სამეფოს ტახტის მემკვიდრე პრინცი ჩარლზი ჩაცმაში მეტად კონსერვატულია. ბოლო 40 წლის მანძილზე იგი თავის სტილს არ ღალატობს. ამიტომაცაა, რომ მის გარდერობში ახლაც მრავლადაა ის სამოსი, რომელსაც იგი ახალგაზრდობაში ატარებდა. ცოტა ხნის წინათ პრინცი საზოგადოებაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ლაკის ფეხსაცმლით, რომელიც მას ჯერ კიდევ ოთხი ათეული წლის წინათ 2,5 ათას გირვანქა სტერლინგად შეუკერეს. ამასთან, ბუკინგემის სასახლის ჭორიკნები იმასაც ამბობენ, რომ ზოგჯერ ჩარლზი... ბაბუამისის, მეფე ჯორჯ VI-ის ტვიდის პალტოთიც დადისო!**

ძვირფასი ტანსაცმელი პრინცს ახალგაზრდობიდანვე უყვარდა, რომელსაც მხოლოდ გამოცდილ თერძებს უკვეთავდა. მიუხედავად კონსერვატული გემოვნებისა, ცოტა ხნის წინათ პრინცი ჩარლზი მსოფლიოში ყველაზე მოდურად ჩაცმულ მამაკაცად აღიარეს.

### გარდაცვლილზე გათხოვება

**საფრანგეთის პრეზიდენტს კაროლინა მონემ მიმართა, რომელმაც მანამდე ორი კვირით ადრე დაღუპულ საქმროზე... დაქორწინების უფლება ითხოვა.**

**კაროლინა მონეს საქმრო მედესანტე აბელ ჩენუფი იყო, ერთ-ერთი იმ ოთხ სამხედრო მოსამსახურიდან, რომელიც ტერორისტმა მუჰამედ მერამ მოკლა. როგორც ჩანს, საქმე ისაა, რომ მადმუაზელ მონე ჩენუფისგან ფეხმძიმედაა.**

ქორწინებები, როცა ცოლ-ქმარს შორის ერთ-ერთი გარდაცვლილია, საფრანგეთში ძალიან იშვიათად რეგისტრირდება, რადგან საამისოდ კი ქვეყნის პრეზიდენტის ნებართვაა საჭირო, რომელიც სათანადო დოკუმენტს ხელს პირადად აწერს.



საგულისხმოა, რომ კაროლინა მონეს ადვოკატს ადრე ორი მსგავსი ქორწინება ჰქონია მომზადებული. ორივე შემთხვევაში გათხოვდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა მეგობარი ქალი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

**ტიპს ცოლი უკვდება, რომელმაც გადაწყვიტა, სიკვდილის წინ ქმრისთვის აღსარება ეთქვა და შენდობაც ეთხოვა.**

**— ძვირფასო, სიკვდილის წინ უნდა გამოგიტყდე. მე გღალატობდი შენს ძმასთან, შენს საუკეთესო მეგობართან, მამაშენთან და...**

**— ვიცი, საყვარელო, ვიცი და ამიტომაც მოგწამლე!**

* * *



**— კეთილო ხალხო, დამეხმარეთ, მიშველეთ, გავკოტრდი, გავმათხოვრდი... უკიდურესი გაჭირვება კარს მომადგა და მიკაკუნებს... — ევედრება ტიპი გარშემომყოფთ.**

**— შეგვიძლია, დაგეხმაროთ ერთი კარგი რჩევით, — უპასუხებენ ისინი, — აკაკუნოს და იყოს თავისთვის, კარს ნუ გაუღებ!**

* * *

**— ძვირფასო სტუმარო, ბარი იკეტება! აბა, გამოვხოხდით, გამოვხოხდით!..**

* * *

**— ვოვოჩკა, მთელი ტკბილეული ისე შესანსლე, შენს დაიკოზე სულაც არ გიფიქრია! — ამუნათებს დედა შვილს.**

**— რას ამბობ, დედა, არ მიფიქრია კი არა, სულ მასზე ვფიქრობდი, ჩქარა შევჭამო, არ მომისწროს-მეთქი!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24